ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მათემატიკის დეპარტამენტი

ალექსანდრე ბაკურიძე

$\sum_1(X,2)$, $\sum_1(X,3)$ და $\sum_4(X,8)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები

(დისერტაცია წარდგენილია სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი იაშა დიასამიძე

ბათუმი-2017

შინაარსი

შესავალი

1.თემის აქტუალობა. ნახევარჯგუფი არის არაცარიელი სიმრავლე, განხილული მასში განსაზღვრული ბინარული ალგებრული ოპერაციის მიმართ. როგორც ფელიქს კლეინი მიუთითებს, ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც ჯგუფთა თეორია ყალიბდებოდა, იყო ვარაუდი, რომ ძირითად საწყის ცნებად აღებულიყო ის, რასაც დღეს ნახევარჯგუფს ვუწოდებთ. თუმცა მათემატიკის განვითარების იმ ეტაპზე გადაწყვიტეს შეჩერებულიყვნენ შემდეგ ცნებაზე - ჯგუფებზე.

ერთ-ერთი როლი, რომელსაც ჯგუფთა თეორია თამაშობდა მათემატიკის შემდგომ განვითარებაში იყო ის, რომ თავისი არსით ჯგუფთა ალგებრული თეორია წარმოადგენდა აბსტრაქტულ თეორიას შებრუნებად გარდაქმნათა შესახებ. ასეთ გარდაქმნათა განხილვები გვხვდება მათემატიკურ (და არა მარტო მათემატიკურ) დისციპლინებში.

ნახევარჯგუფი ესაა სიმრავლე ერთი ბინარული ალგებრული ოპერაციით, რომელიც ასოციაციურობის კანონს აკმაყოფილებს. ტერმინი „ნახევარჯგუფი" მათემატიკურ ლიტერატურაში პირველად გაჩნდა სეგიეს წიგნში. ნახევარჯგუფებში პირველ შრომას წარმოადგენს 1905 წელს გამოქვეყნებული დიკსონის სტატია. თეორიის განვითარება არსებითად დაიწყო 1928 წელს, როცა გამოქვეყნდა ა.კ. სუშკევიჩის ძალიან მნიშვნელოვანი სტატია. მან აჩვენა, რომ (თუ ვისარგებლებთ თანამედროვე ტერმინოლოგიით) ყოველი სასრულო ნახევარჯგუფი შეიცავს „ბირთვს" (ე.ი. მარტივ იდეალს) და სრულყოფილად განსაზღვრა სასრულო მარტივი იდეალების აგებულება.

სუშკევიჩის აღნიშნულ შედეგს გამოსაყენებლად მეტად მოუხერხებელი ფორმა ჰქონდა. ეს დეფექტი გამოასწორა რისიმ (Rees) 1940 წელს ნულის მქონე ჯგუფზე მატრიცის ცნების შემოტანით. გარდა ამისა, მის მიერ შესწავლილი იქნა ნახევარჯგუფთა მნიშვნელოვანი „პრიმიტიული იდემპოტენტის მქონე მარტივი ნახევარჯგუფების" კლასი.

ნახევარჯგუფთა თეორიის ბევრ საკითხთა გამოკვლევებში პრინციპიალურ როლს გრინის ეკვივალენტობის მიმართებები ასრულებს. შეზღუდვები შეიძლება მიეკუთვნებოდეს წარმომქმნელთა სისტემებს და მათი ტიპები გამოყოფილ იქნას წარმომქმნელ ელემენტთა ხასიათის თვალსაზრისით (მაგ. იდემპოტენტები; ყოველი

ნახევარჯგუფი ჩაიდგმება იდემპოტენტებით წარმოქმნილ ნახევარჯგუფებში). წარმომქმნელ ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით შეისწავ-ლება ნახევარჯგუფები, რომლებიც მოცემულია განმსაზღვრელი თანაფარდობებით.

ნახევარჯგუფთა თეორიაში მნიშვნელოვანი შედეგებისა ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფებთანაა დაკავშირებული.

ბინარული მიმართების ცნება მათემატიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. ამის დასადასტურებლად საკმარისია ითქვას, რომ ერთი სიმრავლის მეორე სიმრავლეზე ასახვა ბინარული მიმართების კერძო შემთხვევას წარმოადგენს. ასევე ბინარულ მიმა-რთებათა თეორიის გეომეტრიულ სახეს გრაფთა თეორია წარმოადგენს, თუმცა ამ უკანასკნელისაგან იზოლირებულად განიხილება, რადგანაც გრაფთა თეორია ბინა-რულ მიმართებათა თვისებებს ამ თეორიის სპეციალური გამოყენებისათვის შეის-წავლის.

ბინარულ მიმართებათა ენა გამოსაყენებლად მოსახერხებელია მათემატიკურ ლინგვისტიკაში, მათემატიკურ ბიოლოგიაში და გამოყენებითი მათემატიკის სხვა-დასხვა დარგებში, მაგალითად, ბინარულ მიმართებათა თეორიას მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს ავტომატთა თეორიაში. კერძოდ, ყოველი სასრული უნივერსალური ავტომატი შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც მონიშნული ორიენტირებული გრაფი, რომელსაც მდგომარეობის დიაგრამა ეწოდება.

ბინარულ მიმართებათა თეორია შექმნილია მათემატიკური ლოგიკის მო-თხოვნის საფუძველზე და მისი არსებობის პირველ ეტაპზე მთლიანად მათემატიკურ ლოგიკას ემსახურებოდა. ბინარულ მიმართებათა თეორიის საწყისი ცნებები, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს პირველად შემოტანილი იქნა დე მორგანის, პირსისა და ფრეგეს მიერ. შემდეგ ამ თეორიის სისტემატურ ჩამოყალიბებასა და მოდერ-ნიზაციაში დიდი როლი შეასრულეს შრედერმა და რიგემ.

ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფის შესწავლის სირთულე არის ის, რომ ისინი როგორც წესი არ წარმოადგენენ რეგულარულ ნახევარჯგუფებს, რაც აძნელებს მათ შესწავლას. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო აღმოჩნდა ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფებისა და მათი ზოგიერთი მნიშვნელოვანი კლასების სისტემატური შესწავლა გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერების გამოყენებით, რომელიც პირველად გამოყენებული იქნა იაშა დიასამიძის მიერ თავის სადისერ-

ტაციო ნაშრომში (იხ. [68]). ეს არის ახალი მიმართულება, რომელსაც წარმოდგენილი მონოგრაფია ეძღვნება. მოკლედ აღვწეროთ ეს მეთოდი:

კერძოდ, D სიმბოლოთი აღვნიშნოთ არა ცარიელი X სიმრავლის ქვესიმრავლეთა ისეთი არა ცარიელი სიმრავლე, რომელიც ჩაკეტილია D სიმრავლის ელემენტების თეორიულ-სიმრავლური გაერთიანების ოპერაციის მიმართ. მას გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერი ეწოდება. f იყოს X სიმრავლის D სიმრავლეში ნებისმიერი ასახვა. ყოველ ასეთ f ასახვას შევუსაბამოთ $\alpha_f = \bigcup_{x \in X} \left(\{x\} \times f(x) \right)$ ბინარული მიმართება X სიმრავლეზე. ყველა ასეთი $\alpha_f \left(f : X \to D \right)$ ბინარული მიმართებების სიმრავლე აღვნიშნოთ $B_X(D)$ სიმბოლოთი. მტკიცდება, რომ $B_X(D)$ ნახევარჯგუფია. $B_X(D)$ ნახევარჯგუფს D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფი ეწოდება.

ნახევარჯგუფთა თეორიაში ცნობილია, რომ ნებისმიერი ნახევარჯგუფი შეიძლება ბინარულ მიმართებათა რაიმე ნახევარჯგუფში ჩაიდგას და ამიტომ ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფების ქვენახევარჯგუფთა განხილვისას ზოგადად ნახევარჯგუფები შეისწავლება. გარდა ამისა, ნახევარჯგუფების იდემპოტენტები, რეგულარული ელემენტები, ცალმხრივი ერთეულები, განმსაზღვრელი თანაფარდობები, დაუყვანი და გარე ელემენტები ნახევარჯგუფთა აბსტრაქტული თვისებების შესწავლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ვთქვათ, D m სიმძლავრის გაერთიანების სრული X - ნახევარმესერია; $B_X(D)$ - D გაერთიანების სრული X -ნახევარმესერით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფი. $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ბევრი აბსტრაქტული თვისება D ნახევარმესერთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

გაერთიანების სრული X - ნახევარმესერი, რომელსაც ფიქსირებული დიაგრამა გააჩნია და ცარიელ სიმრავლეს შეიცავს, ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფების ისეთ განსაზღვრულ კლასს განსაზღვრავს, რომ მასში მოცემულ ნახევარჯგუფთან ერთად მის იზომორფულ ნებისმიერ ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფს ყოველთვის შეიცავს. ამ კლასის ნახევარჯგუფთა თვისებები მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ნახევარმესერთა ელემენტების თვისებებზე, რომლებიც მოცემულ ნახევარჯგუფს განსაზღვრავენ. ეს თვისებებია: იკვეთებიან თუ არა მოცემული

ნახევარმესერის წარმომქმნელი სიმრავლის ელემენტები; მათი ელემენტები ქმნიან თუ არა ჯაჭვს და ა.შ.

გაერთიანებათა სრული X – ნახევარმესერების გამოყენებით ბინარულ მიმართებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების შესწავლაში და მიღებული შედეგების გავრცელების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი შ. მახარაძეს.

ამ მიმართულებით ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა ხარისხები დაიცვეს ზებური ავალიანმა, გულადი ფარტენაძემ, ომარი გივრაძემ და ნ. როყვამ. მათემატიკის აკადემიური დოქტორის ხარისხები თურქეთის რესპუბლიკაში დაიცვეს დიდემ იეშილმა და ბარიშ ალბაირაკმა. დღეისათვის ამ ტიპის ნახევარჯგუფებზე 60-ზე მეტი ნაშრომია მიძღვნილი.

ზებურ ავალიანს შესწავლილი აქვს $\Sigma_1(X,5)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები (იხ. დიაგრამა 1);

გულადი ფარტენაძეს შესწავლილი აქვს $\Sigma_1(X,6)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები (იხ. დიაგრამა 2);

ომარ გივრაძეს შესწავლილი აქვს $\Sigma_1(X,4)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები (იხ. დიაგრამა 3);

ნინო როყვას შესწავლილი აქვს $\Sigma_3(X,6)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები (იხ. დიაგრამა 4);

დიდემ იეშილს შესწავლილი აქვს $\Sigma_2(X,9)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები (იხ. დიაგრამა 5);

ბარიშ ალბაირაქს შესწავლილი აქვს $\Sigma_1(X,9)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები (იხ. დიაგრამა 6).

ნინო ცინარიძეს შესწავლილი აქვს $\mathbf{\Sigma_2(X,8)}$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები (იხ. დიაგრამა 7).

გიული თავდგირიძეს შესწავლილი აქვს აქვს $\mathbf{\Sigma_3(X,8)}$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები (იხ. დიაგრამა 8).



2. ნაშრომის მიზნები, ამოცანები და შედეგები

სადისერტაციო ნაშრომის **ძირითადი მიზანია** $\Sigma_4(X,8)$ კლასის გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფების ისეთი თვისებების შესწავლა, რომლებიც ინახებიან იზომორფიზმის დროს.

კვლევის საგანს წარმოადგენს $\Sigma_4(X,8)$ კლასის გაერთიანებათა სრული $X-$ ნახევარმესერები, აგრეთვე კვლევის საგანს წარმოადგენენ მოცემული ნახევარმესერებით განსაზღვრული ყველა ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები.

მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. ნაშრომში პირველად განიხილება $\Sigma_4(X,8)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის კლასები, მოცემული კლასის ნახევარმესერების თვისებები გამოკვლეულია შესაბამისი დიაგრამის მიხედვით.

სასრული X სიმრავლის შემთხვევაში, გამოყვანილია $\Sigma_4(X,8)$ კლასში ნახევარმესერების რაოდენობის დათვლის ფორმულა, აღწერილია მოცემული კლასის ყველა ქვენახევარმესერები და ამასთანავე მათგან გამოყოფილია $XI-$ქვენახევარმესერები. შესწავლილია $\Sigma_4(X,8)$ კლასის ყოველი D ნახევარმესერით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების იდემპოტენტური, რეგულარული ელემენტები და მათი თვისებები. იმ შემთხვევაში როცა X სასრული სიმრავლეა, გამოყვანილია იდემპოტენტური და რეგულარული ელემენტების რაოდენობის დათვლის ფორმულები.

მოცემული საკითხების შესწავლა მთლიანად ეყრდნობა გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერის ძირითად თვისებებს. ნაშრომში მიღებულმა შედეგებმა მოგვცა იმის საშუალება, რომ ვისაუბროთ ამ ნახევარჯგუფის უამრავ თვისებაზე. კერძოდ, აქვს თუ არა მას მარჯვენა ერთეულები, როგორ არის აგებული მისი იდემპოტენტური და რეგულარული ელემენტები. ეს შესაძლებელია მოცემული ნახევარჯგუფის განმსაზღვრელი ნახევარმესერის შესაბამის დიაგრამაზე დაყრდნობით.

კვლევის ზოგადი მეთოდიკა. ცნობილია, რომ ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტები, ცალმხრივი ერთეულები, რეგულარული ელემენტები, მაქსიმალური ქვეჯგუფები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნახევარჯგუფთა აბსტრაქტული თვისებების (ე.ი., ისეთი თვისებების, რომლებიც ინახებიან იზომორფიზმის დროს), შესწავლაში.

სადისერტაციო ნაშრომში ნახევარჯგუფთა თვისებების შესწავლა ხდება ნახევარმესერთა თვისებების საშუალებით. ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარ-

ჯგუფების აბსტრაქტული თვისებების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად განისაზღვრება იმ გაერთიანებათა სრული X – ნახევარმესერებით, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული კლასის ელემენტებს.

ნაშრომში გამოიყენება მესერთა თეორიის, ნახევარჯგუფთა თეორიის, სიმრავლეთა თეორიის და კომბინატორიკის ზოგადი მეთოდი.

3. დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, ამ თავებში შემავალი 8 პარაგრაფისა და 4 დანართისაგან. ნაშრომის საერთო მოცულობა არის კომპიუტერით დაკაბადონებული 197 გვერდი (მათგან 152 გვერდი ნაშრომის ძირითადი ნაწილია, დანარჩენი კი დამატებები).

4. ძირითადი აღნიშვნები

შემოვიღოთ ძირითადი აღნიშვნები, რომლებიც შემდგომში დისერტაციაშია გამოყენებული.

სიმბოლო $\varnothing$-ით აღვნიშნოთ ცარიელი ბინარული მიმართება ან X სიმრავლის ცარიელი ქვესიმრავლე;

$B_X(D)=\{\alpha_f \mid f: X\to D\}$;

$(x,y)\in\alpha$ პირობას შემდგომში ჩავწერთ შემდეგი ფორმით $x\alpha y$;

ახლა ვთქვათ $(x,y)\in X,\ Y\subseteq X,\ \alpha\in B_X(D),\ T\in D,\ \varnothing\neq D'\subseteq D$, $t\in\breve{D}=\bigcup_{Y\in D}Y$ ($\breve{D}$ არის D სიმრავლის უდიდესი ელემენტი). შემოვიღოთ აგრეთვე შემდეგი აღნიშვნები:

$y\alpha=\{x\in X \mid y\alpha x\}$;

$Y\alpha=\bigcup_{y\in Y}y\alpha$;

$V(D,\alpha)=\{Y\alpha \mid Y\in D\}$;

$X^*=\{T \mid \varnothing\neq T\subseteq X\}$;

$D'_t=\{Z'\in D' \mid t\in Z'\}$;

$Y_T^\alpha=\{x\in X \mid x\alpha=T\}$;

$D'_T=\{Z'\in D' \mid T\subseteq Z'\}$;

$\ddot{D}'_T=\{Z'\in D' \mid Z'\subseteq T\}$;

$l(D',T)=\cup(D'\setminus D'_T)$;

$\wedge(D,D_t)$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ D_t სიმრავლის ქვედა საზღვრების სიმრავლე D ნახევარმესერში.

თავი I

$\Sigma_1(X,2)$ და $\Sigma_1(X,3)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების წარმომქმნელი სისტემები

მოცემულ ნაშრომში განხილულია $\Sigma_1(X,2)$ და $\Sigma_1(X,3)$ კლასების D გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების წარმომქმნელი სისტემები.

ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე განმარტება, ლემა და თეორემა.

განმარტება 1.0.1 იტყვიან, რომ S ნახევარჯგუფის α ელემენტს ეწოდება გარე ელემენტი, თუ ნებისმიერი $\alpha_1,\alpha_2\in S\setminus\{\alpha\}$-თვის, ადგილი აქვს შემდეგს: $\alpha_1\cdot\alpha_2\neq\alpha$.

(იხ. განმარტება 1.15.1)

წინადადება 1.0.1 ვთქვათ $\alpha,\beta\in B_X(D)$, მაშინ $\alpha\circ\beta=\alpha\circ\overline{\beta}=\alpha\circ\tilde{\beta}$.

(იხ. [2] წინადადება 2.)

ლემა 1.0.1. S ნახევარჯგუფის გარე ელემენტებისათვის სამართლიანია შემდეგი დებულებები:

a) თუ S ნახევარჯგუფის რომელიმე მარჯვენა ერთეული წარმოადგენს გარე ელემენტს, მაშინ S ნახევარჯგუფის ყველა მარჯვენა ერთეული წარმოადგენს გარე ელემენტს;

b) თუ S' არის S ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლე, მაშინ სიმრავლე $S''=S\setminus S'$ არის S ნახევარჯგუფის ქვენახევარჯგუფი;

c) თუ S' არის S ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლე და A არის S ნახევარჯგუფის წარმომქნელთა სისტემა, მაშინ $S'\subseteq A$;

d) თუ φ არის S ნახევარჯგუფის S_1 ნახევარჯგუფზე იზომორფული ასახვა და S' არის S ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლე, მაშინ $\varphi(S')$ იქნება S_1 ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლე.

(იხ. ლემა 1.15.1)

თეორემა 1.0.1. ვთქვათ $\alpha, \beta \in B_X(D)$. $B_X(D)$ ნახევარჯგუფში α ბინარული მიმართება მარჯვნიდან იყოფა β ბინარულ მიმართებაზე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$V\left(X^*, \alpha\right) \subseteq V\left(D, \beta\right).$$

(იხ. თეორემა 4.1.1)

თეორემა 1.0.2 $k^0_{n,m}$ რიცხვისთვის სამართლიანია შემდეგი ფორმულა:

$$k^0_{n,m} = \sum_{i=1}^{m} \frac{(-1)^{m+i}}{(i-1)!(m-i)!} \cdot i^{n-1}$$

(იხ. თეორემა 1.17.1)

1.1 $\Sigma_1(X,2)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების წარმომქმნელი სისტემები

მოცემულ პარაგრაფში განხილულია $\Sigma_1(X,2)$ კლასის D გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების წარმომქმნელი სისტემები.

ვთქვათ, $x, y \in X$, $Y \subseteq X$, $\alpha \in B_X(D)$, $\breve{D} = \bigcup_{Y \in D} Y$ და $T \in D$.

მაშინ $y\alpha$, $Y\alpha$, $V(D,\alpha)$, X^* და $V\left(X^*, \alpha\right)$ სიმბოლოებით აღვნიშნოთ შემდეგი სიმრავლეები:

$$\begin{aligned}
&y\alpha = \{x \in X \mid y\alpha x\},\\
&Y\alpha = \bigcup_{y \in Y} y\alpha,\\
&X^* = \{Y \mid \varnothing \neq Y \subseteq X\},\\
&V\left(X^*, \alpha\right) = \{Y\alpha \mid \varnothing \neq Y \subseteq X\},\\
&D_T = \{Z \in D \mid T \subseteq Z\}.
\end{aligned}$$

ცნობილია შემდეგი მტკიცებულებები:

თეორემა 1.1.1 *ვთქვათ,* $D = \{\breve{D}, Z_1, Z_2, ..., Z_{m-1}\}$ *ნებისმიერი გაერთიანებათა სრული* $X-$ *ნახევარმესერია და* $C(D) = \{P_0, P_1, P_2, ..., P_{m-1}\}$ *არის* X *სიმრავლის წყვილ-წყვილად თანაუკვეთ ქვესიმრავლეთა რაღაც ოჯახი (ცარიელი* $\varnothing$ *სიმრავლე შეიძლება*

რამდენჯერმე განმეორდეს). თუ φ არის ასახვა D ნახევარმესერისა სიმრავლეთა $C(D)$ ოჯახზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:

$$\varphi = \begin{pmatrix} \breve{D} & Z_1 & Z_2 & \dots & Z_{m-1} \\ P_0 & P_1 & P_2 & \dots & P_{m-1} \end{pmatrix}$$

და $\hat{D}_Z = D \setminus D_T$, მაშინ სამართლიანია შემდეგი ტოლობები:

$$\begin{aligned} \breve{D} &= P_0 \cup P_1 \cup P_2 \cup \ldots \cup P_{m-1} \\ Z_i &= P_0 \cup \bigcup_{T \in \hat{D}_{Z_i}} \varphi(T) \end{aligned} \qquad (1.1.1)$$

შემდეგში ამ ტოლობებს ვუწოდებთ ფორმალურ ტოლობებს.

დამტკიცებულია, რომ თუ D ნახევარმესერის ელემენტები წარმოდგენილია (1.1.1) სახით, მაშინ P_i $(0 < i \le m-1)$ სიმრავლეებს შორის არსებობს ისეთი, რომელიც ვერ იქნება D-თვის ცარიელი სიმრავლე. ასეთ P_i სიმრავლეს ეწოდება ბაზისური წყარო, ამავე დროს ისეთ P_j $(0 \le j \le m-1)$ სიმრავლეს, რომელიც შეიძლება იყოს ცარიელი სიმრავლე, ეწოდება სისავსის წყარო. დამტკიცებულია, რომ φ ასახვისას ბაზისურ წყაროს დამფარავ ელემენტთა რაოდენობა ყოველთვის ერთის ტოლია, ხოლო სისავსის წყაროს დამფარავი ელემენტები ან არ არსებობენ, ან მათი რაოდენობა მეტია 1-ზე (იხ [1],თავი 11).

ვთქვათ, $P_0, P_1, P_2, \ldots, P_{m-1}$ იყოს ფორმალური ტოლობების პარამეტრები, $\beta \in B_X(D)$ და

$$\overline{\beta} = \bigcup_{i=0}^{m-1} \left(P_i \times \bigcup_{t \in P_i} t\beta \right) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times t'\beta \right). \qquad \ldots(1.1.2)$$

$\overline{\beta}$ მიმართებას ეწოდება β ბინარული მიმართების ქვეკვაზინორმალური წარმოდგენა.

თუ $\overline{\beta}$ არის β ბინარული მიმართების ქვეკვაზინორმალური წარმოდგენა, მაშინ $\overline{\beta}$ ბინარული მიმართებისთვის სამართლიანია შემდეგი დებულებები:

a) $\overline{\beta} \in B_X(D)$;

b) $\beta \subseteq \overline{\beta}$;

c) β ბინარული მიმართების ქვეკვაზინორმალური წარმოდგენა არის კვაზინორმალური;

d) თუ

$$\overline{\beta}_1=\begin{pmatrix} P_0 & P_1 & \dots & P_{m-1} \\ P_0\overline{\beta} & P_1\overline{\beta} & \dots & P_{m-1}\overline{\beta} \end{pmatrix},$$

მაშინ $\overline{\beta}_1$ არის ასახვა $C(D)=\{P_0,P_1,P_2,\dots,P_{m-1}\}$ სიმრავლეთა ოჯახისა $D=\{\breve{D},Z_1,Z_2,\dots,Z_{m-1}\}\cup\{\varnothing\}$ სისტემაზე;

e) თუ $\overline{\beta}_2 : X\setminus\breve{D}\to D$ არის ასახვა, რომელიც აკმაყოფილებს პირობას $\overline{\beta}_2(t')=t'\beta$ ყოველი $t'\in X\setminus\breve{D}$-თვის, მაშინ

$$\overline{\beta}=\bigcup_{i=0}^{m-1}\left(P_i\times\bigcup_{t\in P_i}t\beta\right)\cup\bigcup_{t'\in X\setminus\breve{D}}\left(\{t'\}\times\overline{\beta}_2(t')\right).$$

შევნიშნოთ, რომ თუ P_j $(0\le j\le m-1)$ არიან ისეთი სისავსის წყაროები, რომ $P_j=\varnothing$, მაშინ ყოველთვის სრულდება ტოლობა $P_j\overline{\beta}=\varnothing$. ასევე არსებობს ისეთი ბაზისური წყაროები P_i $(0\le i\le m-1)$, რომლისთვისაც $\bigcup_{t\in P_i}t\beta=\varnothing$, ე.ი. $P_i\overline{\beta}=\varnothing$.

მაგალითი 1.1.1. ვთქვათ $X=\{1,2,3,4\}$, $D=\{\varnothing,\{1,2\}\}$, მაშინ $P_0=\varnothing$, $P_1=\{1,2\}$. თუ



ნახ.1. 1.1

$$\beta=\{(1,1),(1,2),(2,1),(2,2),(4,1),(4,2)\}$$

მაშინ $\beta\in B_X(D)$ და β ბინარული მიმართების ქვეკვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{aligned}&\overline{\beta}_1=\begin{pmatrix} P_0 & P_1 \\ \varnothing & \{1,2\}\end{pmatrix},\ \overline{\beta}_2=\begin{pmatrix} 3 & 4 \\ \varnothing & \{1,2\}\end{pmatrix},\\ &\overline{\beta}=(\varnothing\times\varnothing)\cup(\{1,2\}\times\{1,2\})\cup\\ &\quad\cup(\{3\}\times\varnothing)\cup(\{4\}\times\{1,2\})=\\ &\quad=(P_0\times\varnothing)\cup(P_1\times\{1,2\})\cup\\ &\quad\cup(\{3\}\times\varnothing)\cup(\{4\}\times\{1,2\}),\end{aligned}$$

სადაც P_1 ბაზისური წყაროა და P_0 სისავსის წყარო.

თეორემა 1.1.2 *ვთქვათ* $\alpha,\beta\in B_X(D)$, *მაშინ* $\alpha\circ\beta=\alpha\circ\overline{\beta}$ (იხ. წინადადება 1.0.1).

2.1 ვთქვათ, $\Sigma_1(X,2)$ არის გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერთა ისეთი კლასი, რომლის ყოველი ელემენტი იზომორფულია $D=\{Z_1,\breve{D}\}$ გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერისა, რომელიც აკმაყოფილებს პირობას $Z_1\subset\breve{D}$ (იხ. ნახ.1. 1.1).



ნახ.1. 1.1

ვთქვათ, $C(D)=\{P_0,P_1\}$, სადაც

$P_0,P_1\subset X$, $P_0\cap P_1=\varnothing$ და $\varphi=\begin{pmatrix}\breve{D} & Z_1\\ P_0 & P_1\end{pmatrix}$

წარმოადგენს ასახვას D ნახევარმესერისა $C(D)$ სიმრავლეზე. მაშინ D ნახევარმესერის ფორმალურ ტოლობებს ექნებათ შემდეგი სახე:

$$\begin{aligned}\breve{D}&=P_0\cup P_1,\\ Z_1&=P_0,\end{aligned} \qquad ...(1.1.3).$$

სადაც P_1 D ნახევარმესერის ბაზისური წყაროა და P_0 სისავსის წყარო. გამომდინარე აქედან $|X|\geq 1$.

ლემა 1.1.1 *ვთქვათ,*

$$D=\left\{Z_1,\breve{D}\right\}\in\Sigma_1\left(X,2\right),$$

$$B=\left\{\alpha\in B_X\left(D\right)|V\left(X^*,\alpha\right)=D\right\}.$$

თუ $B\neq\varnothing$, მაშინ B არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლე.

დამტკიცება. ვთქვათ, $D=\left\{Z_1,\breve{D}\right\}\in\Sigma_1\left(X,2\right)$, $\alpha\in B$ და $\alpha=\delta\circ\beta$ რომელიღაც $\delta,\beta\in B_X(D)\setminus\{\alpha\}-$თვის. მაშინ δ ელემენტის კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\delta=\left(Y_1^\delta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_1^\delta\cup Y_0^\delta=X$ და $Y_1^\delta\cap Y_0^\delta=\varnothing$. თეორემა 1.1.2-დან გამომდინარეობს, რომ

$$\alpha=\delta\circ\beta=\delta\circ\overline{\beta},$$

სადაც $\overline{\beta}$ წარმოადგენს β ბინარული მიმართების ქვეკვაზინორმალურ წარმოდგენას. მარტივად დასანახია, რომ

$$\alpha=\delta\circ\overline{\beta}=\left(Y_1^\delta\times Z_1\overline{\beta}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\overline{\beta}\right). \qquad ...(1.1.4)$$

$\alpha=\delta\circ\overline{\beta}$ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ

$$D=V\left(X^*,\alpha\right)\subseteq V\left(D,\overline{\beta}\right)$$

(იხ [1], თეორემა 3.0.1). ასე, რომ $D=V\left(D,\overline{\beta}\right)$.

დაშვების თანახმად $\alpha\in B$, ე.ი. არსებობს α ელემენტის კვაზინორმალური წარმოდგენა, რომელსაც აქვს შემდეგი სახე: $\alpha=\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\alpha\times\breve{D}\right)$, სადაც $\left|Y_i^\alpha\right|\geq 1$

ნებისმიერი $i=0,1$, რადგანაც $\alpha\in B$ (თუ $Y_j^\delta=\varnothing$ რომელიმე j-თვის $(0\le j\le 1)$, მაშინ $V\left(X^*,\alpha\right)\neq D$), ე.ი. $|X|\ge 2$.

Z_1 ელემენტისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

a) $Z_1=\varnothing$. ამ შემთხვევაში გვექნება, რომ

$$P_0=\cap D=\varnothing$$

და

$$\gamma_1=\begin{pmatrix}\varnothing & P_1\\ \varnothing & \varnothing\end{pmatrix},\ \gamma_2=\begin{pmatrix}\varnothing & P_1\\ \varnothing & \breve{D}\end{pmatrix}$$

არიან $\{\varnothing,P_1\}$ სიმრავლის ყველა შესაძლო ასახვები D ნახევარმესერში, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას: $\gamma_i(\varnothing)=\varnothing\ (i=1,2)$.

თუ $X=\breve{D}$, მაშინ (1.1.3) ფორმალური ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ $\varnothing\cup P_1=\breve{D}$. ამ შემთხვევაში

$$\begin{aligned}&P_0=\varnothing,\\&P_1=\breve{D},\\&X\setminus\breve{D}=\varnothing,\\&\overline{\beta}=(\varnothing\times\varnothing)\cup\left(P_1\times\breve{D}\right)\cup\varnothing=X\times\breve{D},\end{aligned}$$

(იხ. ტოლობა (1.1.2)). მარტივი დასანახია, რომ $V\left(D,\overline{\beta}\right)=D$ და

$$\begin{aligned}\alpha=\delta\circ\overline{\beta}&=\left(\left(Y_1^\delta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)\right)\circ(X\times D)=\\&=\left(\left(Y_1^\delta\times Z_1\right)\circ(X\times D)\right)\cup\left(\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)\circ(X\times D)\right)=\\&=\left(Y_1^\delta\times\breve{D}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)=X\times\breve{D}\notin B\end{aligned}$$

ვინაიდან $V\left(X^*,\alpha\right)=\left\{\breve{D}\right\}\neq D$. ასე, რომ $X\neq\breve{D}$.

შემდეგში ნაგულისხმევია, რომ $\left|X\setminus\breve{D}\right|\ge 1$.

$\gamma_i\ (i=1,2)$ ბინარული მიმართებებისთვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები.

ვთქვათ, $\gamma_1=\begin{pmatrix}\varnothing & P_1\\ \varnothing & \varnothing\end{pmatrix}$. (1.1.3) ფორმალური ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ $P_1=\breve{D}\neq\varnothing$. თუ $\overline{\gamma}_1$ არის $X\setminus\breve{D}$ სიმრავლის ასახვა $D\setminus\{\varnothing\}=\left\{\breve{D}\right\}$ სიმრავლეზე (ზემოთ აღნიშნულის თანახმად $\left|X\setminus\breve{D}\right|\ge 1$), მაშინ

$$\overline{\beta} = (P_1 \times \varnothing) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times \overline{\gamma}_1(t') \right), \qquad ...(1.1.5)$$

$V\left(D, \overline{\beta}\right) = D$ (იხ. ტოლობა (1.1.2)). ფორმალური (1.1.3) ტოლობებიდან და (1.1.4), (1.1.5) ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ

$$\begin{aligned}
&Z_1\overline{\beta} = \varnothing\overline{\beta} = \varnothing, \\
&\breve{D}\overline{\beta} = \varnothing\overline{\beta} \cup P_1\overline{\beta} = \varnothing \cup \varnothing = \varnothing, \\
&\alpha = \delta \circ \overline{\beta} = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\overline{\beta}\right) = \\
&\quad = \left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \varnothing\right) = X \times \varnothing = \varnothing \notin B
\end{aligned}$$

ვინაიდან $V\left(X^*, \alpha\right) = \{\varnothing\} \neq D$.

ვთქვათ $\gamma_2 = \begin{pmatrix} \varnothing & P_1 \\ \varnothing & \breve{D} \end{pmatrix}$ და $\overline{\gamma}_2$ არის $X \setminus \breve{D}$ სიმრავლის ასახვა $D \setminus \left\{\breve{D}\right\}$ ნახევარმესერზე. ასე, რომ თუ

$$\overline{\beta} = \left(P_1 \times \breve{D}\right) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times \overline{\gamma}_2(t') \right), \qquad ...(1.1.6)$$

მაშინ $V\left(D, \overline{\beta}\right) = D$, ფორმალური (3.1.3) ტოლობიდან და ტოლობებიდან (1.1.4), (1.1.6) გვექნება:

$$\begin{aligned}
&Z_1\overline{\beta} = \varnothing\overline{\beta} = \varnothing, \\
&\breve{D}\overline{\beta} = \varnothing\overline{\beta} \cup P_1\overline{\beta} = \varnothing \cup \breve{D} = \breve{D}, \\
&\alpha = \delta \circ \overline{\beta} = \left(Y_1^{\delta} \times Z\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\overline{\beta}\right) = \\
&= \left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right) = \delta.
\end{aligned}$$

მაგრამ, ტოლობა $\alpha = \delta$ ეწინააღმდეგება პირობას, რომ $\delta \in B_X(D) \setminus \{\alpha\}$. ე.ი. ამ შემთხვევაში $\alpha \notin B$.

მოცემულ სიტუაციაში a) შემთხვევიდან გამომდინარეობს, რომ B წარმოადგენს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლეს, რადგანაც γ_i $(i = 1, 2)$ ასახვები არიან ყველა შესაძლო ასახვები $\{\varnothing, P_1\}$ სიმრავლიდან D ნახევარმესერში, რომლებიც აკმაყოფილებენ $\gamma_i(\varnothing) = \varnothing$ პირობას.

b) $Z_1 \neq \varnothing$. მაშინ $P_0 = \cap D \neq \varnothing$ და

$$\sigma_1 = \begin{pmatrix} P_0 & P_1 \\ Z_1 & Z_1 \end{pmatrix}, \ \sigma_2 = \begin{pmatrix} P_0 & P_1 \\ Z_1 & \breve{D} \end{pmatrix},$$

$$\sigma_3 = \begin{pmatrix} P_0 & P_1 \\ \breve{D} & Z_1 \end{pmatrix} \text{ და } \sigma_4 = \begin{pmatrix} P_0 & P_1 \\ \breve{D} & \breve{D} \end{pmatrix}$$

არიან ყველა შესაძლო ასახვები $\{P_0, P_1\}$ სიმრავლიდან D ნახევარმესერში.

თუ $X=\breve{D}$ და $\sigma_i(P_0)=\sigma_i(P_1)$ ($i=1,4$), მაშინ ფორმალური (1.1.3) ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ $\sigma_i(P_1)=\breve{D}$ და ამ შემთხვევაში $\overline{\beta}=X\times\sigma_i(P_1)$ (იხ. ტოლობა (1.1.2)). ასე რომ,

$$\overline{\beta}=X\times Z_1 \text{ ან } \overline{\beta}=X\times\breve{D}.$$

ორივე შემთხვევაში $V(D,\overline{\beta})=D$ და

$$\begin{aligned}\alpha=\delta\circ\overline{\beta}&=\left(\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\right)\circ\left(X\times Z_1\right)=\\&=\left(\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\circ\left(X\times Z_1\right)\right)\cup\left(\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\circ\left(X\times Z_1\right)\right)=\\&=\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times Z_1\right)=X\times Z_1\notin B,\end{aligned}$$

$$\begin{aligned}\alpha=\delta\circ\overline{\beta}&=\left(\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\right)\circ\left(X\times\breve{D}\right)=\\&=\left(\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\circ\left(X\times\breve{D}\right)\right)\cup\left(\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\circ\left(X\times\breve{D}\right)\right)=\\&=\left(Y_1^{\delta}\times\breve{D}\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)=X\times\breve{D}\notin B\end{aligned}$$

ამრიგად $V\left(X^*,\alpha\right)\neq D$. ასე, რომ $X\neq\breve{D}$.

შემდეგში იგულისხმება, რომ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$.

ბინარული σ_i $(i=1,2,3,4)$ მიმართებებისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები.

ვთქვათ, $\sigma_1=\begin{pmatrix}P_0 & P_1\\ Z_1 & Z_1\end{pmatrix}$. ასეთ შემთხვევაში გვექნება, რომ $P_0\neq\varnothing$ და $P_1\neq\varnothing$. თუ $\overline{\sigma}_1$ არის ასახვა $X\setminus\breve{D}$ სიმრავლისა $D\setminus\{Z_1\}=\{\breve{D}\}$ სიმრავლეზე (დაშვების თანახმად $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$), მაშინ

$$\overline{\beta}=\left(\left(P_0\cup P_1\right)\times Z_1\right)\cup\bigcup_{t'\in X\setminus\breve{D}}\left(\{t'\}\times\overline{\sigma}_1(t')\right), \qquad \text{...(1.1.7)}$$

$V(D,\overline{\beta})=D$ და ფორმალური (1.1.3) ტოლობებიდან და (1.1.4), (1.1.7) ტოლობებიდან გვექნება:

$$\begin{aligned}&Z_1\overline{\beta}=P_0\overline{\beta}=Z_1,\\&\breve{D}\overline{\beta}=P_0\overline{\beta}\cup P_1\overline{\beta}=Z_1\cup Z_1=Z_1,\\&\alpha=\delta\circ\overline{\beta}=\left(Y_1^{\delta}\times Z_1\overline{\beta}\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\overline{\beta}\right)=\\&\quad=\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times Z_1\right)=X\times Z_1\notin B\end{aligned}$$

ამრიგად $V\left(X^*,\alpha\right)=\{Z_1\}\neq D$.

ვთქვათ $\sigma_2=\begin{pmatrix}P_0 & P_1\\ Z_1 & \breve{D}\end{pmatrix}$ და $\bar{\sigma}_2$ არის $X\setminus\breve{D}$ სიმრავლის ასახვა D ნახევარმესერში. ასე, რომ თუ

$$\bar{\beta}=\left(P_0\times Z_1\right)\cup\left(P_1\times\breve{D}\right)\cup\bigcup_{t'\in X\setminus\breve{D}}\left(\{t'\}\times\bar{\sigma}_2\left(t'\right)\right), \qquad ...(1.1.8)$$

მაშინ $V\left(D,\bar{\beta}\right)=D$, ფორმალური (1.1.3) ტოლობებიდან და ტოლობებიდან (1.1.4), (1.1.8) გვექნება:

$$\begin{aligned}
&Z_1\bar{\beta}=P_0\bar{\beta}=Z_1,\\
&\breve{D}\bar{\beta}=P_0\bar{\beta}\cup P_1\bar{\beta}=Z_1\cup\breve{D}=\breve{D},\\
&\alpha=\delta\circ\bar{\beta}=\left(Y_1^\delta\times Z_1\bar{\beta}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\bar{\beta}\right)=\\
&\quad=\left(Y_1^\delta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)=\delta\notin B\setminus\{\alpha\}.
\end{aligned}$$

მაგრამ $\alpha=\delta$ ტოლობა ეწინააღმდეგება პირობას, რომ

$$\delta\in B_X\left(D\right)\setminus\{\alpha\}.$$

ე. ი. ამ შემთხვევაში $\alpha\notin B$.

ვთქვათ $\sigma_3=\begin{pmatrix}P_0 & P_1\\ \breve{D} & Z_1\end{pmatrix}$ და $\bar{\sigma}_3$ არის $X\setminus\breve{D}$ სიმრავლის ასახვა D ნახევარმესერში. ასე, რომ თუ

$$\bar{\beta}=\left(P_0\times\breve{D}\right)\cup\left(P_1\times Z_1\right)\cup\bigcup_{t'\in X\setminus\breve{D}}\left(\{t'\}\times\bar{\sigma}_3\left(t'\right)\right), \qquad ...(1.1.9)$$

მაშინ $V\left(D,\bar{\beta}\right)=D$, ფორმალური (1.1.3) ტოლობებიდან და ტოლობებიდან (1.1.4), (1.1.9) გვექნება:

$$\begin{aligned}
&Z_1\bar{\beta}=P_0\bar{\beta}=\breve{D},\\
&\breve{D}\bar{\beta}=P_0\bar{\beta}\cup P_1\bar{\beta}=\breve{D}\cup Z_1=\breve{D},\\
&\alpha=\delta\circ\bar{\beta}=\left(Y_1^\delta\times Z_1\bar{\beta}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\bar{\beta}\right)=\\
&\quad=\left(Y_1^\delta\times\breve{D}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)=X\times\breve{D}\notin B
\end{aligned}$$

ამრიგად $V\left(X^*,\alpha\right)=\{\breve{D}\}\neq D$.

დავუშვათ $\sigma_4=\begin{pmatrix}P_0 & P_1\\ \breve{D} & \breve{D}\end{pmatrix}$. თუ $\bar{\sigma}_4$ არის ასახვა $X\setminus\breve{D}$ სიმრავლიდან $D\setminus\{\breve{D}\}=\{Z_1\}$ სიმრავლეზე, მაშინ

$$\bar{\beta}=\left(\left(P_0\cup P_1\right)\times\breve{D}\right)\cup\bigcup_{t'\in X\setminus\breve{D}}\left(\{t'\}\times\bar{\sigma}_4\left(t'\right)\right), \qquad ...(1.1.10)$$

$V\left(D,\overline{\beta}\right)=D$, (1.1.3) ფორმალური ტოლობებიდან და (1.1.4), (1.1.10) ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ

$$\begin{aligned} &Z_1\overline{\beta} = P_0\overline{\beta} = \breve{D}, \\ &\breve{D}\overline{\beta} = P_0\overline{\beta} \cup P_1\overline{\beta} = \breve{D} \cup \breve{D} = \breve{D}, \\ &\alpha = \delta \circ \overline{\beta} = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\overline{\beta}\right) = \\ &= \left(Y_1^{\delta} \times \breve{D}\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right) = X \times \breve{D} \notin B \end{aligned}$$

ვინაიდან $V\left(X^*,\alpha\right)=\left\{\breve{D}\right\} \neq D$.

ამრიგად, b) შემთხვევიდან გამომდინარეობს, რომ B არის $B_X\left(D\right)$ ნახევარჯგუფის გარე ელემენტების სიმრავლე, რადგანაც $\sigma_1-\sigma_4$ არიან ყველა შესაძლო ასახვები $\{P_0,P_1\}$ სიმრავლიდან D ნახევარმესერში.

ლემა 1.1.1 დამტკიცებულია.

შედეგი 1.1.1 *ვთქვათ,* $D=\left\{\varnothing,\breve{D}\right\} \in \Sigma_1\left(X,2\right)$ *და* $B=\left\{\alpha \in B_X\left(D\right) | V\left(X^*,\alpha\right)=D\right\}$.

მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები:

1) *თუ* $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$ *და* $Z_1=\varnothing$, *მაშინ* $\alpha=X\times D$ *არ წარმოიქმნება* B *სიმრავლის ელემენტებით;*

2) *თუ* $X=\breve{D}$ *და* $Z_1\neq\varnothing$, *მაშინ* $\alpha=X\times Z_1$ *არ წარმოიქმნება* B *სიმრავლის ელემენტებით;*

3) *თუ* $X=\breve{D}$ *და* $Z_1=\varnothing$, *მაშინ* $\alpha=\varnothing$ *და* $\alpha=X\times\breve{D}$ *არ წარმოქმნებიან* B *სიმრავლის ელემენტებით;*

დამტკიცება. *ვთქვათ,* $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$, $Z_1=\varnothing$ და $\delta,\beta \in B$. მაშინ ბინარული δ მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე:

$$\delta=\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right),$$

სადაც $Y_1^{\delta},Y_0^{\delta} \notin \{\varnothing\}$ და

$$\delta\circ\beta=\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\beta\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\beta\right)=\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\beta\right)\neq X\times\breve{D}$$

რადგანაც $Y_1^{\delta}\neq\varnothing$.

მაშასადამე, თუ $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$ და $Z_1 = \varnothing$, მაშინ $\alpha = X \times D$ *არ წარმოიქმნება* B *სიმრავლის ელემენტებით.*

შედეგი 1.1.1-ის 1) დებულება დამტკიცებულია.

ვთქვათ, $X = \breve{D}$ და $Z_1 \neq \varnothing$. თუ δ და β არიან B სიმრავლის ისეთი ელემენტები, რომ $\delta \circ \beta = X \times Z_1$, მაშინ ბინარული δ მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე:

$$\delta = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right) = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times X\right),$$

სადაც $Y_1^{\delta}, Y_0^{\delta} \notin \{\varnothing\}$ და

$$\delta \circ \beta = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\beta\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\beta\right) = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\beta\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times X\beta\right) = X \times Z_1,$$

ე.ი. $Z_1\beta = X\beta = Z_1$. ტოლობიდან $X\beta = Z_1$ გამომდინარეობს $t\beta = Z_1$ ყოველი $t \in X -$ თვის, რადგანაც Z_1 არის D ნახევარმესერის უმცირესი ელემენტი. ამრიგად სამართლიანია შემდეგი ტოლობა $\beta = X \times Z_1$. ბოლო ტოლობა ეწინააღმდეგება $\beta \in B$ პირობას, მაშასადამე, ბინარული $\alpha = X \times Z_1$ მიმართება არ წარმოიქმნება B სიმრავლის ელემენტებით.

შედეგი 1.1.1-ის 2) დებულება დამტკიცებულია.

ვთქვათ, $X = \breve{D}$, $Z_1 = \varnothing$. თუ $\alpha = \delta \circ \beta$ რომელიღაც $\delta, \beta \in B$, მაშინ ბინარული δ და β მიმართებების კვაზინორმალური წარმოდგენები ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned}
\delta &= \left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right) = \left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times X\right),\\
\beta &= \left(Y_1^{\beta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\beta} \times \breve{D}\right) = \left(Y_1^{\beta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\beta} \times X\right),
\end{aligned}$$

სადაც $Y_1^{\delta}, Y_0^{\delta}, Y_1^{\beta}, Y_0^{\beta} \notin \{\varnothing\}$, ამდენად

$$V\left(X^*, \delta\right) = V\left(X^*, \beta\right) = D \quad (\delta, \beta \in B).$$

ასე, რომ გვექნება:

$$\begin{aligned}
&\alpha = \delta \circ \beta = \left(\left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times X\right)\right) \circ \left(\left(Y_1^{\beta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\beta} \times X\right)\right) =\\
&= \left(\left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \circ \left(Y_1^{\beta} \times \varnothing\right)\right) \cup \left(\left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \circ \left(Y_0^{\beta} \times X\right)\right) \cup\\
&\cup \left(\left(Y_0^{\delta} \times X\right) \circ \left(Y_1^{\beta} \times \varnothing\right)\right) \cup \left(\left(Y_0^{\delta} \times X\right) \circ \left(Y_0^{\beta} \times X\right)\right) = \varnothing \cup \varnothing \cup\\
&\cup \left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times X\right) = \delta
\end{aligned}$$

რადგანაც

$$X \cap Y_1^{\beta} = Y_1^{\beta} \neq \varnothing$$

და

$$X \cap Y_0^{\beta} = Y_0^{\beta} \neq \varnothing .$$

მაგრამ ტოლობებიდან $\alpha = \varnothing$, $\alpha = \delta$ ან $\alpha = X \times \breve{D}$, $\alpha = \delta$ შესაბამისად გამომდინარეობს $\alpha \notin B$ და $\alpha \in B$, რადგანაც დაშვების თანახმად $\delta \in B$, ე.ი. $\alpha = \varnothing$ და $\alpha = X \times \breve{D}$ არ წარმოიქმნებიან B სიმრავლის ელემენტებით.

შედეგი1.1.1-ის 3) დებულება დამტკიცებულია.

შედეგი 1.1.1 დამტკიცებულია.

თეორემა 1.1.3 *ვთქვათ,* $D = \left\{ Z_1, \breve{D} \right\} \in \Sigma_1\left(X, 2 \right)$*. თუ*

$$B = \left\{ \alpha \in B_X\left(D \right) | V\left(X^*, \alpha \right) = D \right\},$$

მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები:

a) *თუ* $\left| X \setminus \breve{D} \right| \geq 1$ *და* $Z_1 \neq \varnothing$*, მაშინ* B *არის* $B_X\left(D \right)$ *ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელი სიმრავლე;*

b) *თუ* $\left| X \setminus \breve{D} \right| \geq 1$ *და* $Z_1 = \varnothing$*, მაშინ* $B \cup \left\{ X \times \breve{D} \right\}$ *არის* $B_X\left(D \right)$ *ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელი სიმრავლე;*

c) *თუ* $X = \breve{D}$ *და* $Z_1 \neq \varnothing$*, მაშინ* $B \cup \{ X \times Z_1 \}$ *არის* $B_X\left(D \right)$ *ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელი სიმრავლე;*

d) *თუ* $X = \breve{D}$ *და* $Z_1 = \varnothing$*, მაშინ* $B \cup \left\{ \varnothing, X \times \breve{D} \right\}$ *არის* $B_X\left(D \right)$ *ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელი სიმრავლე.*

დამტკიცება. ვთქვათ, $\left| X \setminus \breve{D} \right| \geq 1$, $Z_1 \neq \varnothing$ და α არის $B_X\left(D \right) \setminus B$ ნახევარჯგუფის ნებისმიერი ელემენტი. α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე: $\alpha = \left(Y_1^{\alpha} \times Z_1 \right) \cup \left(Y_0^{\alpha} \times \breve{D} \right)$, სადაც $Y_1^{\alpha} = \varnothing$ ან $Y_0^{\alpha} = \varnothing$ ($V\left(X^*, \alpha \right) \neq D$, რადგანაც $\alpha \notin B$).

ვთქვათ, $Y_1^{\alpha} = \varnothing$. მაშინ $\alpha = X \times \breve{D}$ და ნებისმიერი $\delta = \left(Y_1^{\delta} \times Z_1 \right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D} \right) \in B$

და $\beta=\left(Z_1\times\breve{D}\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)-$ თვის გვექნება $\beta\in B$, რადგანაც $Z_1\neq\varnothing$ დაშვების თანახმად და $X\setminus\breve{D}\supset X\setminus Z_1\neq\varnothing$. ამრიგად, სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$\begin{aligned}\delta\circ\beta&=\left(\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\right)\circ\left(\left(Z_1\times\breve{D}\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\right)=\\&=\left(\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\circ\left(Z_1\times\breve{D}\right)\right)\cup\left(\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\circ\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\right)\cup\\&\cup\left(\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\circ\left(Z_1\times\breve{D}\right)\right)\cup\left(\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\circ\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\right)=\\&=\left(Y_1^{\delta}\times\breve{D}\right)\cup\varnothing\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times Z_1\right)=\\&=\left(Y_1^{\delta}\times\breve{D}\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)=X\times\breve{D}=\alpha\end{aligned}$$

რადგანაც $\breve{D}\supset Z_1$.

ვთქვათ, $Y_0^{\alpha}=\varnothing$. მაშინ $\alpha=X\times Z_1$ და ნებისმიერი $\delta=\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\in B$ და $\beta=\left(\breve{D}\times Z_1\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)$ ელემენტებისათვის გვაქვს $\beta\in B$, რადგანაც

$$X\setminus\breve{D}\neq\varnothing\quad\left(\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1\right).$$

ამრიგად, სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$\begin{aligned}\delta\circ\beta&=\left(\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\right)\circ\left(\left(\breve{D}\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)\right)=\\&=\left(\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\circ\left(\breve{D}\times\varnothing\right)\right)\cup\left(\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\circ\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)\right)\cup\\&\cup\left(\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\circ\left(\breve{D}\times\varnothing\right)\right)\cup\left(\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\circ\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)\right)=\\&=\varnothing\cup\varnothing\cup\left(Y_0^{\delta}\times\varnothing\right)\cup\varnothing=\varnothing=\alpha.\end{aligned}$$

რადგანაც დაშვების თანახმად $\breve{D}\supset Z_1$.

თეორემა 1.1.3 ის a) დებულება დამტკიცებულია.

ვთქვათ, $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ და $Z_1=\varnothing$. ნებისმიერი

$\delta=\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\in B$ და $\beta=\left(\breve{D}\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)$-თვის

გვექნება, რომ $\beta\in B$, რადგანაც $X\setminus\breve{D}\neq\varnothing$ $\left(\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1\right)$. ასეთ შემთხვევაში სრულდება ტოლობა:

$$\begin{aligned}\delta\circ\beta&=\left(\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\right)\circ\left(\left(\breve{D}\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)\right)=\\&=\left(\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\circ\left(\breve{D}\times\varnothing\right)\right)\cup\left(\left(Y_1^{\delta}\times\varnothing\right)\circ\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)\right)\cup\\&\cup\left(\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\circ\left(\breve{D}\times\varnothing\right)\right)\cup\left(\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)\circ\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)\right)=\\&=\varnothing\cup\varnothing\cup\left(Y_0^{\delta}\times\varnothing\right)\cup\varnothing=\varnothing=\alpha.\end{aligned}$$

ახლა თეორემა 1.1.3 -ის b) დებულება უშუალოდ გამომდინარეობს შედეგი 1.1.1 -ის 1) დებულებიდან.

ვთქვათ, $X=\breve{D}$ და $Z_1\neq\varnothing$. დავუშვათ, $\delta=\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)$ არის B სიმრავლის ნებისმიერი ელემენტი და $\beta=\left(Z_1\times\breve{D}\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)$. ადვილი დასანახია, რომ $\beta\in B$ და

$$\begin{aligned}\delta\circ\beta&=\left(\left(Z_1\times Z_1\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times\breve{D}\right)\right)\circ\left(\left(Z_1\times\breve{D}\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\right)=\\&=\left(\left(Z_1\times Z_1\right)\circ\left(Z_1\times\breve{D}\right)\right)\cup\left(\left(Z_1\times Z_1\right)\circ\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\right)\cup\\&\cup\left(\left(\left(X\setminus Z_1\right)\times\breve{D}\right)\circ\left(Z_1\times\breve{D}\right)\right)\cup\left(\left(\left(X\setminus Z_1\right)\times\breve{D}\right)\circ\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\right)=\\&=\left(Z_1\times\breve{D}\right)\cup\varnothing\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times\breve{D}\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)=\\&=\left(Z_1\times\breve{D}\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times\breve{D}\right)=X\times\breve{D}\end{aligned}$$

რადგანაც დაშვების თანახმად $\breve{D}\supset Z_1$.

ახლა თეორემა 1.1.3 -ის c) დებულება უშუალოდ გამომდინარეობს შედეგი 1.1.1 -ის 2) დებულებიდან.

თეორემა 1.1.3 -ის d) დებულება უშუალოდ გამომდინარეობს შედეგი 1.1.1 -ის 3) დებულებიდან.

თეორემა 1.1.3 დამტკიცებულია.

შედეგი 1.1.2 *ვთქვათ,* X *სასრული სიმრავლეა,* $D=\left\{Z_1,\breve{D}\right\}\in\Sigma_1\left(X,2\right)$. *მაშინ* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის დაუყვან* B' *წარმომქმნელთა სიმრავლის ელემენტთა რაოდენობისათვის სამართლიანია შემდეგი დებულებები:*

a) *თუ* $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ *და* $Z_1\neq\varnothing$, *მაშინ*

$$\left|B'\right|=2^{|X|}-2\,;$$

b) *თუ* $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ *და* $Z_1=\varnothing$ *ან* $X=\breve{D}$ *და* $Z_1\neq\varnothing$, *მაშინ*

$$\left|B'\right|=2^{|X|}-1\,;$$

d) *თუ* $X=\breve{D}$ *და* $Z_1=\varnothing$ *, მაშინ*

$$\left|B'\right|=2^{|X|}.$$

დამტკიცება. ცნობილია, რომ თუ B არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ყველა გარე ელემენტთა სიმრავლე და B' არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ნებისმიერი წარმომქმ-ნელთა სიმრავლე, მაშინ $B\subseteq B'$. ლემა 1.1.1-ის თანახმად სიმრავლე $B=\left\{\alpha\in B_X(D)\,|\,V\left(X^*,\alpha\right)=D\right\}$ წარმოადგენს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის გარე ელემენტ-თა სიმრავლეს. ადვილი დასანახია, რომ

$$B=B_X(D)\setminus\left\{X\times Z_1, X\times\breve{D}\right\}.$$

აქედან კი გამომდინარეობს, რომ $\left|B\right|=2^{|X|}-2$ (იხ. ტოლობა (1.1.2).

თეორემა 1.1.3 -ის a) დებულებიდან გამომდინარეობს, რომ $B=B'$, ე.ი. $\left|B'\right|=2^{|X|}-2$.

თეორემა 1.1.3 -ის b) და c) დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ

$B'=B\cup\left\{X\times\breve{D}\right\}$ ან $B'=B\cup\{X\times Z_1\}$,

ე.ი.

$$\left|B'\right|=\left(2^{|X|}-2\right)+1=2^{|X|}-1.$$

თეორემა 1.1.3 -ის d) დებულებიდან გამომდინარეობს, რომ

$$B'=B\cup\left\{X\times Z_1, X\times\breve{D}\right\},$$

ე.ი.

$$\left|B'\right|=\left(2^{|X|}-2\right)+2=2^{|X|}.$$

შედეგი 1.1.2 დამტკიცებულია.

მაგალითი 1.1.2. ვთქვათ $X=\{1,2,3\}$ და $D=\left\{\{1\},\{1,2\}\right\}$, ე.ი. $\left|X\setminus\breve{D}\right|=1$ და $Z_1=\{1\}\neq\varnothing$ (იხ. თეორემა 1.1.3 -ის დებულება a)). მაშინ $B_X(D)=\{\alpha_1,\alpha_2,...,\alpha_7,\alpha_8\}$, სადაც

$$\begin{aligned}
\alpha_1 &= \{(1,1),(2,1),(3,1)\},\\
\alpha_2 &= \{(1,1),(2,1),(3,1),(3,2)\},\\
\alpha_3 &= \{(1,1),(2,1),(2,2),(3,1)\},\\
\alpha_4 &= \{(1,1),(2,1),(2,2),(3,1),(3,2)\},\\
\alpha_5 &= \{(1,1),(1,2),(2,1),(3,1)\},\\
\alpha_6 &= \{(1,1),(1,2),(2,1),(3,1),(3,2)\},\\
\alpha_7 &= \{(1,1),(1,2),(2,1),(2,2),(3,1)\},\\
\alpha_8 &= \{(1,1),(1,2),(2,1),(2,2)(3,1),(3,2)\}.
\end{aligned}$$

ამ შემთხვევაში გვექნება $B=\{\alpha_2,\alpha_3,\alpha_4,\alpha_5,\alpha_6,\alpha_7\}$ და

$\circ$	α_2	α_3	α_4	α_5	α_6	α_7
α_2	α_1	α_2	α_2	α_8	α_8	α_6
α_3	α_1	α_3	α_3	α_8	α_8	α_8
α_4	α_1	α_4	α_4	α_8	α_8	α_8
α_5	α_1	α_5	α_5	α_8	α_8	α_8
α_6	α_1	α_6	α_6	α_8	α_8	α_8
α_7	α_1	α_7	α_7	α_8	α_8	α_8

მივიღეთ, რომ $B=\{\alpha_2,\alpha_3,\alpha_4,\alpha_5,\alpha_6,\alpha_7\}$ არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სიმრავლე.

მაგალითი 1.1.3 ვთქვათ, $X=\{1,2,3\}$ და $D=\{\varnothing,\{1,2\}\}$, ე.ი. $\left|X\setminus\breve{D}\right|=1$ და $Z_1=\varnothing$ (იხ. თეორემა 1.1.3 -ის დებულება b). მაშინ $B_X(D)=\{\alpha_1,\alpha_2,...,\alpha_7,\alpha_8\}$, სადაც

$$\begin{aligned}
&\alpha_1 = \varnothing,\ \alpha_2 = \{(3,1),(3,2)\},\\
&\alpha_3 = \{(2,1),(2,2)\},\\
&\alpha_4 = \{(2,1),(2,2),(3,1),(3,2)\},\\
&\alpha_5 = (1,1),(1,2),\\
&\alpha_6 = \{(1,1),(1,2),(3,1),(3,2)\},\\
&\alpha_7 = \{(1,1),(1,2),(2,1),(2,2)\},\\
&\alpha_8 = \{(1,1),(1,2),(2,1),(2,2)(3,1),(3,2)\}.
\end{aligned}$$

ამ შემთხვევაში გვექნება $B=\{\alpha_2,\alpha_3,\alpha_4,\alpha_5,\alpha_6,\alpha_7\}\cup\{\alpha_8\}$ და

$\circ$	α_2	α_3	α_4	α_5	α_6	α_7	α_8
α_2	α_1	α_2	α_2	α_2	α_2	α_2	α_2

α_3	α_1	α_3	α_3	α_3	α_3	α_3	α_3
α_4	α_1	α_4	α_4	α_4	α_4	α_4	α_4
α_5	α_1	α_5	α_5	α_5	α_5	α_5	α_5
α_6	α_1	α_6	α_6	α_6	α_6	α_6	α_6
α_7	α_1	α_7	α_7	α_7	α_7	α_7	α_7
α_8	α_1	α_8	α_8	α_8	α_8	α_8	α_8

მივიღეთ, რომ $B=\{\alpha_2,\alpha_3,\alpha_4,\alpha_5,\alpha_6,\alpha_7\}\cup\{\alpha_8\}$ არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სიმრავლე.

მაგალითი 1.1.4 ვთქვათ $X=\{1,2\}$ და $D=\{\{1\},\{1,2\}\}$, ე.ი.

$$X=\breve{D}=\{1,2\} \text{ და } Z_1=\{1\}\neq\varnothing$$

(იხ. დებულება თეორემა 1.1.3 -ის c). მაშინ

$$B_X(D)=\{\alpha_1,\alpha_2,\alpha_3,\alpha_4\},$$

სადაც

$$\begin{aligned}
\alpha_1 &= \{(11),(2,1)\},\\
\alpha_2 &= \{(11),(2,1),(2,2)\},\\
\alpha_3 &= \{(11),(1,2),(2,1)\},\\
\alpha_4 &= \{(11),(1,2),(2,1),(2,2)\}.
\end{aligned}$$

ამ შემთხვევაში გვექნება $B=\{\alpha_2,\alpha_3\}\cup\{\alpha_1\}$ და

$\circ$	α_1	α_2	α_3
α_1	α_1	α_1	α_4
α_2	α_1	α_2	α_4
α_3	α_1	α_3	α_4

მივიღეთ, რომ $B=\{\alpha_2,\alpha_3\}\cup\{\alpha_1\}$ არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სიმრავლე.

მაგალითი 1.1.5. ვთქვათ $X=\{1,2\}$ და $D=\{\varnothing,\{1,2\}\}$, ე.ი. $X=\breve{D}=\{1,2\}$ და $Z_1=\varnothing$ (იხ. თეორემა 1.1.3 -ის დებულება d). მაშინ $B_X(D)=\{\alpha_1,\alpha_2,\alpha_3,\alpha_4\}$, სადაც

$$\begin{aligned}&\alpha_1=\varnothing,\ \alpha_2=\{(2,1),(2,2)\},\\&\alpha_3=\{(1,1),(1,2)\},\\&\alpha_4=\{(1,1),(1,2),(2,1),(2,2)\}.\end{aligned}$$

ამ შემთხვევაში გვექნება $B=\{\alpha_2,\alpha_3\}\cup\{\alpha_1,\alpha_4\}$ და

$\circ$	α_1	α_2	α_3	α_4
α_1	α_1	α_1	α_1	α_1
α_2	α_1	α_2	α_2	α_2
α_3	α_1	α_3	α_3	α_3
α_4	α_1	α_4	α_4	α_4

მივიღეთ, რომ $B=\{\alpha_2,\alpha_3\}\cup\{\alpha_1,\alpha_4\}$ არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სიმრავლე.

1.2 $\Sigma_1(X,3)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფების წარმომქმნელთა სისტემები

განმარტება 1.2.1. შემდეგში $\overline{\beta}_1$ და $\overline{\beta}_2$ ელემენტებს ეწოდებათ $\overline{\beta} \in B_X(D)$ ბინარული მიმართების ნორმალური და დამატებითი ასახვები.

თეორემა 1.2.1 *ვთქვათ,* D *სასრული სიმრავლეა და* $\alpha, \beta \in B_X(D)$, *მაშინ ნებისმიერი* β *ბინარული მიმართების* $\overline{\beta}$ *ქვეკვაზინორმალური წარმოდგენისათვის სრულდება* $\alpha \circ \beta = \alpha \circ \overline{\beta}$ *ტოლობა* (იხ. წინადადება 1.0.1).

დამტკიცება. ვთქვათ, $x(\alpha \circ \beta)y$ ნებისმიერი $x \in X$ -თვის და $y \in \breve{D}$ -თვის. მაშინ რადგან $x\alpha z$, ამიტომ $x\alpha z\beta y$ ნებისმიერი $z \in \breve{D}$-თვის. ამრიგად, β ბინარული მიმართების $\overline{\beta}$ ქვეკვაზინორმალური წარმოდგენის განმარტებიდან გამომდინარე გვექნება $z\overline{\beta}y$ და $z, y \in \breve{D}$. ასეთ შემთხვევაში პირობა $x\alpha z\overline{\beta}y$ შესრულებულია, ე.ი. $\alpha \circ \beta \subseteq \alpha \circ \overline{\beta}$.

მეორეს მხრივ, თუ $x'\alpha z'\overline{\beta}y'$ ნებისმიერი $x', z', y' \in X$ -თვის, მაშინ სრულდება $z', y' \in \breve{D}$, ვინაიდან $\alpha, \overline{\beta} \in B_X(D)$. $z' \in \breve{D}$ პირობიდან და ფორმალური ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი $0 \le k \le m-1$-თვის $z' \in P_k$. ე.ი. $z'\left(\bigcup_{i=0}^{m-1}\left(P_i \times \bigcup_{t \in P_i} t\beta\right)\right)y'$. ბოლო ტოლობიდან და $\bigcup_{i=0}^{m-1}\left(P_i \times \bigcup_{t \in P_i} t\beta\right) \subseteq \beta$ პირობიდან მივიღებთ, რომ *სრულდება* $z'\beta y'$ და $x'\alpha z'\beta y'$ პირობები. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha \circ \overline{\beta} \subseteq \alpha \circ \beta$.

ამიტომ ტოლობა $\alpha \circ \beta = \alpha \circ \overline{\beta}$ სამართლიანია.

თეორემა 1.2.1 დამტკიცებულია.

თეორემა 1.2.2. *ვთქვათ,* $\tilde{B}$ *არის* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის ნებისმიერი წარმომქმნელთა სისტემა. თუ ნებისმიერი* α *და* δ *-თვის, აღებული* $\tilde{B}$ *სიმრავლიდან და* $\beta \in \tilde{B}$ *ბინარული მიმართების* $\overline{\beta} \in B_X(D)$ *ქვეკვაზინორმალური წარმოდგენისათვის სრულდება უტოლობა* $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$, *მაშინ* $\alpha \neq \delta \circ \beta$ *პირობა ასევე სამართლიანია.*

დამტკიცება. თუ $\alpha=\delta\circ\beta$ ნებისმიერი $\alpha,\delta,\beta\in\tilde{B}$-თვის, მაშინ თეორემა 1.2.1-დან გამომდინარეობს, რომ $\alpha=\delta\circ\beta=\delta\circ\bar{\beta}_1$ ნებისმიერი $\bar{\beta}_1\in B_X\left(D\right)$-თვის, სადაც $\bar{\beta}$ არის β ბინარული მიმართების ნებისმიერი ქვეკვაზინორმალური წარმოდგენა. მაგრამ ტოლობა $\alpha=\delta\circ\bar{\beta}_1$ ეწინააღმდეგება $\alpha\neq\delta\circ\bar{\beta}$ პირობას β ბინარული მიმართების ნებისმიერი $\bar{\beta}\in B_X\left(D\right)$ ქვეკვაზინორმალური წარმოდგენისათვის .

მივიღეთ, რომ α ბინარული მიმართებისათვის სამართლიანია $\alpha\neq\delta\circ\beta$ პირობა.

თეორემა 1.2.2. დამტკიცებულია.



ნახ. 1.1

მაგალითი 1.2.1. ვთქვათ, $X=\{1,2,3,4,5\}$, $D=\left\{\varnothing,\{2\},\{1,2\}\right\}$, მაშინ $P_0=\varnothing$, $P_1=\{1\}$, $P_2=\{2\}$. თუ $\beta=\left\{(2,1),(2,2),(3,1),(4,1),(4,2),(5,1)\right\}$, მაშინ $\beta\in B_X(D)$, $\bar{\beta}_1=\begin{pmatrix}\varnothing & P_1 & P_2\\ \varnothing & \varnothing & \{1,2\}\end{pmatrix}$, $\bar{\beta}_2=\begin{pmatrix}3 & 4 & 5\\ \{1\} & \{1,2\} & \{1\}\end{pmatrix}$ და $\bar{\beta}$ ბინარული მიმართების ქვეკვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს შემდეგი სახე:

$$\bar{\beta}=\left(P_0\times\varnothing\right)\cup\left(P_1\times\varnothing\right)\cup\left(P_2\times\{1,2\}\right)\cup\left(\{3\}\times\{1\}\right)\cup\left(\{4\}\times\{1,2\}\right)\cup\left(\{5\}\times\{1\}\right)$$

სადაც P_1,P_2 ბაზისური წყაროებია და P_0 კი სისავსის წყარო.

2.1. ვთქვათ, $\Sigma_1(X,3)$ არის გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერთა ისეთი კლასი, რომლის ყოველი ელემენტი იზომორფულია $D=\left\{Z_2,Z_1,\breve{D}\right\}$ გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერისა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: $Z_2\subset Z_1\subset\breve{D}$ (იხ. ნახაზი 1.2.1.):



ნახ. 1.2.1

ვთქვათ, $C(D)=\{P_0,P_1,P_2\}$ არის სიმრავლეთა ოჯახი, სადაც P_0,P_1,P_2 არიან X სიმრავლის წყვილ-წყვილად თანაუკვეთი ქვესიმრავლეები და $\varphi=\begin{pmatrix}\breve{D} & Z_1 & Z_2\\ P_0 & P_1 & P_2\end{pmatrix}$ არის ასახვა D ნახევარმესერისა $C(D)$ სიმრავლეთა ოჯახზე. მაშინ D ნახევარმესერის ფორმალურ ტოლობებს ექნება შემდეგი სახე:

$$\breve{D} = P_0 \cup P_1 \cup P_2,$$
$$Z_1 = P_0 \cup P_2, \qquad \ldots(1.2.1)$$
$$Z_2 = P_0,$$

მოცემული P_1, P_2 ელემენტები არიან D ნახევარმესერის ბაზისური წყაროები, ხოლო P_0 სისავსის წყაროა. აქედან გამომდინარე $|X| \geq 2$,რისთვისაც $|P_1| \geq 1$ და $|P_2| \geq 1$.

სამართლიანია შემდეგი ფორმულირება: (იხ. [4])

თეორემა 1.2.3. *ვთქვათ,* $D = \left\{Z_2, Z_1, \breve{D}\right\} \in \Sigma_1\left(X,3\right)$ *და* $Z_2 \neq \varnothing$ *. თუ* $E_X^{(r)}\left(D\right)$ *არის* $B_X\left(D\right)$ *ნახევარჯგუფის ყველა მარჯვენა ერთეულის სიმრავლე,*

$$\sigma_1 = \left(Z_2 \times Z_2\right) \cup \left(\left(X \setminus Z_2\right) \times Z_1\right),\ \sigma_2 = \left(Z_2 \times Z_2\right) \cup \left(\left(X \setminus Z_2\right) \times \breve{D}\right),$$
$$\sigma_3 = \left(Z_1 \times Z_2\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right),\ \sigma_4 = \left(Z_1 \times Z_1\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right)$$

და $B' = \{\sigma_1,\ \sigma_2,\ \sigma_3,\}$*,მაშინ* $B = E_X^{(r)}\left(D\right) \cup B'$ *არის* $B_X\left(D\right)$ *ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სისტემა.*

შემდეგში იგულისხმება, რომ $Z_2 = \varnothing$.

ლემა 1.2.1. *ვთქვათ,* $D = \left\{\varnothing, Z_1, \breve{D}\right\} \in \Sigma_1\left(X,3\right)$ *და* $B = \left\{\alpha \in B_X\left(D\right) | V\left(X^*, \alpha\right) = D\right\}$. *მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები:*

a) $B \neq \varnothing$ *მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $|X| \geq 3$ *;*

b) $P_0 = \cap D = \varnothing$ *,* $P_1 = \breve{D} \setminus Z_1$ *და* $P_2 = Z_1$ *;*

c) *თუ* $\alpha = \delta \circ \beta$ *, ნებისმიერი* $\alpha \in B$ *-თვის და* $\delta, \beta \in B_X\left(D\right)$ *-თვის, მაშინ* $V\left(D, \beta\right) = D$ *;*

d) *თუ* $|X| \geq 3$ *,მაშინ* B *წარმოადგენს* $B_X\left(D\right)$ *ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლეს.*

დამტკიცება. ვთქვათ, $D = \left\{\varnothing, Z_1, \breve{D}\right\} \in \Sigma_1\left(X,3\right)$.

1) $B \neq \varnothing$ და $\alpha \in B$ ყოველი $\alpha \in B_X\left(D\right)$-თვის. მაშინ არსებობს α ბინარული მიმართების კვაზინორმალური წარმოდგენა შემდეგი სახით:

$$\alpha = \left(Y_2^\alpha \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\alpha \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D}\right),$$

სადაც $\left|Y_i^\alpha\right| \geq 1$ *ყოველი* $i = 0,1,2$ (თუ $Y_j^\delta = \varnothing$ ნებისმიერი j-თვის $(0 \leq j \leq 2)$, მაშინ $V\left(X^*, \alpha\right) \neq D$). ასეთ შემთხვევაში უტოლობა $|X| \geq 3$ სამართლიანია. აქედან კი მივიღებთ, რომ $B = \varnothing$, თუ $|X| = 2$.

ლემა 1.2.1-ის $a)$ დებულება დამტკიცებულია.

2) დაშვების თანახმად $Z_2 = \varnothing$, მაშინ P_0 სიმრავლის განსაზღვრიდან გამომდინარე მივიღებთ, რომ $P_0 = \cap D = \varnothing$. ახლა 1.2.1 ფორმალური ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ $P_2 = Z_1$ და $P_1 = \breve{D} \setminus P_2 = \breve{D} \setminus Z_1$, რადგანაც $P_2 \cap P_1 = \varnothing$.

ლემა 1.2.1-ის $b)$ დებულება დამტკიცებულია.

3) ვთქვათ, $\alpha = \delta \circ \beta$, *ნებისმიერი* $\alpha \in B$ *-თვის და* $\delta, \beta \in B_X(D)$ *-თვის,* მაშინ $D = V\left(X^*, \alpha\right) \subseteq V\left(D, \beta\right)$ (იხ. თეორემა 1.0.1). რადგანაც ყოველი D ნახევარმესერისათვის ყოველთვის სამართლიანი იქნება $V(D, \beta) \subseteq D$ ჩართვა, ამიტომ $D = V(D, \beta)$.

ლემა 1.2.1.-ის $c)$ დებულება დამტკიცებულია.

4) ახლა ვთქვათ, $\alpha = \delta \circ \beta$ *ნებისმიერი* $\alpha \in B$ *-თვის და* $\delta, \beta \in B_X(D) \setminus \{\alpha\}$ *-თვის,*

მაშინ α და δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება სახე:

$$\alpha = \left(Y_2^\alpha \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\alpha \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D}\right) \text{ და } \delta = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right),$$

სადაც $Y_2^\alpha, Y_1^\alpha, Y_0^\alpha \notin \{\varnothing\}$. თეორემა 1.2.1-დან გამომდინარე $\alpha = \delta \circ \beta = \delta \circ \overline{\beta}$, სადაც $\overline{\beta}$ წარმოადგენს β ბინარული მიმართების ქვეკვაზინორმალურ წარმოდგენას. ადვილად ჩანს, რომ

$$\alpha = \delta \circ \overline{\beta} = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1 \overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D} \overline{\beta}\right). \qquad \ldots(1.2.2.)$$

X და $\breve{D}$ სიმრავლეებისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

a′) $X = \breve{D}$. მაშინ (1.1.2) ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ $\overline{\beta}_2$ არის ცარიელი ასახვა, ასე, რომ $X \setminus \breve{D} = \varnothing$. ამ შემთხვევაში არსებობს β ბინარული მიმართების მხოლოდ ორი ქვეკვაზინორმალური $\overline{\beta}$ წარმოდგენა, რომელთათვისაც $V(D, \beta) = D$ (იხილეთ ლემა 1.2.1.-ის $c)$ დებულება) და $\overline{\beta} = \beta$:

$$\overline{\beta}=(\varnothing\times\varnothing)\cup\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\cup\left(Z_1\times\breve{D}\right) \text{ ან } \overline{\beta}=(\varnothing\times\varnothing)\cup\left(Z_1\times Z_1\right)\cup\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times\breve{D}\right),$$

სადაც $\overline{\beta}\in B_X(D)$.

თუ $\overline{\beta}=(\varnothing\times\varnothing)\cup\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\cup\left(Z_1\times\breve{D}\right)$, მაშინ

$$\begin{aligned}\alpha=\delta\circ\overline{\beta}&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\overline{\beta}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\overline{\beta}\right)=\\&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times\breve{D}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(\left(Y_1^\delta\cup Y_0^\delta\right)\times\breve{D}\right)\notin B\end{aligned}$$

რადგანაც $V\left(X^*,\delta\circ\overline{\beta}\right)\subseteq\left\{\varnothing,\breve{D}\right\}\neq D$. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha\neq\delta\circ\overline{\beta}$.

თუ $\overline{\beta}=(\varnothing\times\varnothing)\cup\left(Z_1\times Z_1\right)\cup\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times\breve{D}\right)$, მაშინ

$$\begin{aligned}\delta\circ\overline{\beta}&=\left(Y_2^\alpha\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\alpha\times\breve{D}\right)=\\&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\overline{\beta}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\overline{\beta}\right)=\\&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right).\end{aligned}$$

ასე, რომ $Y_2^\delta=Y_2^\alpha$, $Y_1^\delta=Y_1^\alpha$, $Y_0^\delta=Y_0^\alpha$. გამომდინარე აქედან $\alpha=\delta$. მაგრამ ტოლობა $\alpha=\delta$ ეწინააღმდეგება პირობას $\delta\in B_X(D)\setminus\{\alpha\}$. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha\neq\delta\circ\overline{\beta}$.

შემდეგში იგულისხმება, რომ $X\neq\breve{D}$.

b′) ვთქვათ, $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$. ზემოთ განხილულის თანახმად $P_0=\varnothing$. ამ შემთხვევაში

$$\overline{\beta}_1^1=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & \varnothing & \varnothing\end{pmatrix},\ \overline{\beta}_1^2=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & \varnothing & Z_1\end{pmatrix},\ \overline{\beta}_1^3=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & Z_1 & \varnothing\end{pmatrix},$$

$$\beta_1^4=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & Z_1 & Z_1\end{pmatrix},\ \overline{\beta}_1^5=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & Z_1 & \breve{D}\end{pmatrix},\ \overline{\beta}_1^6=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & \varnothing & \breve{D}\end{pmatrix},$$

$$\overline{\beta}_1^7=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & \breve{D} & \breve{D}\end{pmatrix},\ \overline{\beta}_1^8=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & \breve{D} & \varnothing\end{pmatrix},\ \overline{\beta}_1^9=\begin{pmatrix}\varnothing & \breve{D}\setminus Z_1 & Z_1\\ \varnothing & \breve{D} & Z_1\end{pmatrix}.$$

ყველა ასახვა $C(D)=\{\varnothing,P_1,P_2\}$ სიმრავლისა D ნახევარმესერში აკმაყოფილებს პირობას: $\overline{\beta}_1^i\left(P_0\right)=\varnothing$ $(i=1,2,\ldots,8,9)$ (იხ. ლემა 1.2.1.-ის b) -დებულება).

ვთქვათ, $\beta\in B_X(D)$ და $\overline{\beta}$ არის β ბინარული მიმართების ისეთი კვაზინორმალური წარმოდგენა, რომლისთვისაც β_1^i $(i=1,2,\ldots,8,9)$ წარმოადგენს $\overline{\beta}$ -ის ნორმალურ ასახვას.

$\overline{\beta}$ ბინარული მიმართებისთვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

1) ვთქვათ $\overline{\beta}_1^1 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & \varnothing & \varnothing \end{pmatrix}$, $\overline{\beta}_2^1$ არის ასახვა $X \setminus \breve{D}$-დან $D \setminus \{\varnothing, Z_1\} = \{\breve{D}\}$ სიმრავლეზე. თუ

$$\overline{\beta} = \left(\breve{D} \times \varnothing\right) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times \overline{\beta}_2^1(t')\right), \qquad \ldots(1.2.3)$$

მაშინ $\overline{\beta} \in B_X(D)$. (1.2.2.) და (1.2.3.) ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ:

$$\begin{aligned} &Z_1\overline{\beta} = \varnothing,\ \breve{D}\overline{\beta} = \varnothing, \\ &\delta \circ \overline{\beta} = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\overline{\beta}\right) = \\ &= \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^\delta \times \varnothing\right) = X \times \varnothing = \varnothing \notin B \end{aligned}$$

რადგანაც $V\left(X^*, \delta \circ \overline{\beta}\right) \subseteq \{\varnothing\} \neq D$. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$.

2) ვთქვათ, $\overline{\beta}_1^2 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & \varnothing & Z_1 \end{pmatrix}$ და $\overline{\beta}_2^2$ იყოს ასახვა $X \setminus \breve{D}$-დან $D \setminus \{\varnothing, Z_1\} = \{\breve{D}\}$ სიმრავლეზე. თუ

$$\overline{\beta} = \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup \left(Z_1 \times Z_1\right) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times \overline{\beta}_2^2(t')\right), \qquad \ldots(1.2.4.)$$

მაშინ $\overline{\beta} \in B_X(D)$. (1.2.2.) და (1.2.4.) ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ:

$$\begin{aligned} &Z_1\overline{\beta} = Z_1,\ \breve{D}\overline{\beta} = Z_1, \\ &\delta \circ \overline{\beta} = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\overline{\beta}\right) = \\ &= \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times Z_1\right) = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(\left(Y_1^\delta \cup Y_0^\delta\right) \times Z_1\right) \notin B \end{aligned}$$

რადგანაც $V\left(X^*, \delta \circ \overline{\beta}\right) \subseteq \{\varnothing, Z_1\} \neq D$. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$.

$\overline{\beta}_1^3 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & Z_1 & \varnothing \end{pmatrix}$ ასახვისათვის, ანალოგიურად შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$.

3) ვთქვათ, $\beta_1^4 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & Z_1 & Z_1 \end{pmatrix}$ და $\overline{\beta}_2^4$ იყოს ასახვა $X \setminus \breve{D}$-დან $D \setminus \{\varnothing, Z_1\} = \{\breve{D}\}$ სიმრავლეზე . თუ

$$\overline{\beta} = \left(Z_1 \times \varnothing\right) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times \overline{\beta}_2^4(t')\right), \qquad \ldots(1.2.5.)$$

მაშინ $\overline{\beta} \in B_X(D)$. (1.2.2.) და (1.2.5.) ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ:

$$
\begin{aligned}
&Z_1\overline{\beta} = \breve{D}\overline{\beta} = Z_1,\\
&\delta \circ \overline{\beta} = \left(Y_2^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^{\delta} \times Z_1\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\overline{\beta}\right) =\\
&= \left(Y_2^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^{\delta} \times Z_1\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times Z_1\right) = \left(Y_2^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(\left(Y_1^{\delta} \cup Y_0^{\delta}\right) \times Z_1\right) \notin B
\end{aligned}
$$

რადგანაც $V\left(X^*, \delta \circ \overline{\beta}\right) \subseteq \{\varnothing, Z_1\} \neq D$. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$.

4) ვთქვათ, $\overline{\beta}_1^5 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & Z_1 & \breve{D} \end{pmatrix}$ და $\overline{\beta}_2^5$ იყოს ასახვა $X \setminus \breve{D}$ -დან D სიმრავლეზე. თუ

$$
\overline{\beta} = \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times \overline{\beta}_2^5(t')\right), \qquad \ldots(1.2.6.)
$$

მაშინ $\overline{\beta} \in B_X(D)$. (1.2.2.) და (1.2.6.) ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ:

$$
\begin{aligned}
&Z_1\overline{\beta} = \breve{D},\ \breve{D}\overline{\beta} = \breve{D},\\
&\alpha = \delta \circ \overline{\beta} = \left(Y_2^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^{\delta} \times Z_1\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\overline{\beta}\right) =\\
&= \left(Y_2^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^{\delta} \times \breve{D}\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right) = \left(Y_2^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(\left(Y_1^{\delta} \cup Y_0^{\delta}\right) \times \breve{D}\right) \notin B
\end{aligned}
$$

რადგანაც $V\left(X^*, \delta \circ \overline{\beta}\right) \subseteq \{\varnothing, Z_1\} \neq D$. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$.

$\overline{\beta}_1^6 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & \varnothing & \breve{D} \end{pmatrix}$, $\overline{\beta}_1^7 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & \breve{D} & \breve{D} \end{pmatrix}$ ასახვებისათვის, ანალოგიურად მტკიცდება, რომ $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$.

5) თუ $\overline{\beta}_1^8 \subseteq \beta$, სადაც $\overline{\beta}_1^8 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & \breve{D} & \varnothing \end{pmatrix}$ და $\overline{\beta}_2^8$ არის ასახვა $X \setminus \breve{D}$ -დან $D \setminus \left\{\varnothing, \breve{D}\right\} = \{Z_1\}$ სიმრავლეზე და თუ

$$
\overline{\beta} = (Z_1 \times \varnothing) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times \overline{\beta}_2^8(t')\right), \qquad \ldots(1.2.7.)
$$

მაშინ $\overline{\beta} \in B_X(D)$. (1.2.2.) და (1.2.7.) ტოლობებიდან გამომდინარე, მივიღებთ:

$$
\begin{aligned}
&Z_1\overline{\beta} = \varnothing,\ \breve{D}\overline{\beta} = \breve{D},\\
&\alpha = \delta \circ \overline{\beta} = \left(Y_2^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^{\delta} \times Z_1\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\overline{\beta}\right) =\\
&= \left(Y_2^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^{\delta} \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right) = \left(\left(Y_2^{\delta} \cup Y_1^{\delta}\right) \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right) \notin B
\end{aligned}
$$

რადგანაც $V\left(X^*, \delta \circ \overline{\beta}\right) \subseteq \{\varnothing, Z_1\} \neq D$. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$.

6) თუ $\overline{\beta}_1^9 \subseteq \beta$, სადაც $\overline{\beta}_1^9 = \begin{pmatrix} \varnothing & \breve{D} \setminus Z_1 & Z_1 \\ \varnothing & \breve{D} & Z_1 \end{pmatrix}$ და $\overline{\beta}_2^9$ არის ასახვა $X \setminus \breve{D}$ -დან D სიმრავლეზე და თუ

$$\overline{\beta} = (Z_1 \times Z_1) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1 \right) \times \breve{D} \right) \cup \bigcup_{t' \in X \setminus \breve{D}} \left(\{t'\} \times \overline{\beta}_2^9 (t') \right), \qquad \ldots(1.2.8.)$$

მაშინ $\overline{\beta} \in B_X(D)$. (1.2.2.) და (1.2.8.) გამომდინარეობს, რომ:

$$\begin{aligned} & Z_1\overline{\beta} = Z_1,\ \breve{D}\overline{\beta} = \breve{D}, \\ & \alpha = \delta \circ \overline{\beta} = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\overline{\beta}\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\overline{\beta}\right) = \\ & = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right) = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right). \end{aligned}$$

ამგვარად, მივიღეთ: $Y_2^\delta = Y_2^\alpha$, $Y_1^\delta = Y_1^\alpha$, $Y_0^\delta = Y_0^\alpha$. აქედან გამომდინარეობს, რომ $\alpha = \delta$. მაგრამ $\alpha = \delta$ ტოლობა ეწინააღმდეგება პირობას $\delta \in B_X(D) \setminus \{\alpha\}$. ამრიგად, გვექნება, რომ $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$.

ამ შემთხვევაში $\beta \in B_X(D) \setminus \{\alpha\}$ ბინარული მიმართების ნებისმიერი კვაზი-ნორმალური წარმოდგენისათვის გვექნება $\alpha \neq \delta \circ \overline{\beta}$. ამრიგად, $\overline{\beta}_1^1 - \overline{\beta}_1^9$ წარმოადგენს $C(D) = \{\varnothing, P_1, P_2\}$ სიმრავლის D ნახევარმესერში ყველა იმ ასახვათა სიმრავლეს, რომელიც აკმაყოფილებს $\overline{\beta}_1^i(\varnothing) = \varnothing$ $(i = 1, 2, \ldots, 9)$ პირობას. აქედან და თეორემა 1.2.2.-დან გამომდინარეობს, რომ ყოველი $\delta, \beta \in B_X(D) \setminus \{\alpha\}$ -თვის $\alpha \neq \delta \circ \beta$.

ამრიგად გვაქვს, რომ B სიმრავლე (თუ $B \neq \varnothing$, ე.ი. $|X| \geq 3$) არის $B_X(D)$ ნახევარმესერის გარე ელემენტთა სიმრავლე.

ლემა 1.2.1 დამტკიცებულია.

ლემა 1.2.2. *ვთქვათ,* $|X| \geq 3$ *და* $D = \left\{\varnothing, Z_1, \breve{D}\right\} \in \Sigma_1(X, 3)$, *მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები:*

a) $Z_1\beta = \varnothing,\ \breve{D}\beta = Z_1$ *ყოველი* $\beta \in B$ *-თვის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$;

b) $Z_1\beta = \breve{D}\beta = Z_1$ *ყოველი* $\beta \in B$ *-თვის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$;

c) $Z_1\beta = \breve{D}\beta = \varnothing$ *ყოველი* $\beta \in B$ *-თვის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 2$.

დამტკიცება. ვთქვათ, $Z_1\beta=\varnothing$ ყოველი $\beta\in B$-თვის. β ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება სახე: $\beta=\left(Y_2^\beta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\beta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\beta\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_2^\beta,Y_1^\beta,Y_0^\beta\notin\{\varnothing\}$. ზემოთ განხილულის თანახმად რადგან $\breve{D}\beta=Z_1$, ამიტომ $\breve{D}\cap Y_0^\beta=\varnothing$. ამრიგად $\varnothing\neq Y_0^\beta\subseteq X\setminus\breve{D}$, ე.ი $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$.

მეორეს მხრივ თუ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$, მაშინ $\beta=\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)$ წარმოადგენს B სიმრავლის ელემენტს, რომლისთვისაც $Z_1\beta=\varnothing$ და $\breve{D}\beta=Z_1$.

ლემა 1.2.2.-ის a) დებულება დამტკიცებულია.

ვთქვათ, $Z_1\beta=\breve{D}\beta=Z_1$ ნებისმიერი $\beta\in B$-თვის. β ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება სახე: $\beta=\left(Y_2^\beta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\beta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\beta\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_2^\beta,Y_1^\beta,Y_0^\beta\notin\{\varnothing\}$ და $Y_0^\beta\cap\breve{D}=\varnothing$. გამომდინარე აქედან მივიღებთ: $\varnothing\neq Y_0^\beta\subseteq X\setminus\breve{D}$, ე.ი. $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$, რადგანაც $Y_0^\beta\notin\{\varnothing\}$.

მეორეს მხრივ, თუ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$, ბინარული მიმართება

$$\beta=\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times\varnothing\right)\cup\left(Z_1\times Z_1\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)\text{- თვის}$$

გვექნება $\beta\in B$ და $Z_1\beta=\breve{D}\beta=Z_1$.

ლემა 1.2.2-ის b) დებულება დამტკიცებულია.

ვთქვათ $Z_1\beta=\breve{D}\beta=\varnothing$ ნებისმიერი $\beta\in B$. β ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება სახე: $\beta=\left(Y_2^\beta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\beta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\beta\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_2^\beta,Y_1^\beta,Y_0^\beta\notin\{\varnothing\}$ და $t\beta=\varnothing$ ყოველი $t\in\breve{D}$-თვის, რადგანაც წარმოადგენს D ნახევარმესერის უმცირეს ელემენტს. ამ შემთხვევაში, თუ $Y_2^\beta=\breve{D}$, მაშინ $t_1\beta=Z_1$ და $t_0\beta=\breve{D}$ ნებისმიერი $t_1,t_0\in X\setminus\breve{D}$-თვის. მაშინ ადვილად ჩანს, რომ Y_2^β, Y_1^β და Y_0^β წარმოადგენენ უმცირეს სიმრავლეებს, რომელთათვისაც $\beta\in B$. აქედან მივიღებთ, რომ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 2$.

მეორეს მხრივ, დავუშვათ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 2$, ე.ი. $X\setminus\breve{D}\supseteq\{t_1,t_0\}$, მაშინ ბინარული მიმართება

$$\beta = \left(\breve{D}\times\varnothing\right)\cup\left(\{t_1\}\times Z_1\right)\cup\left(\left(X\setminus\left(\breve{D}\cup\{t_1\}\right)\right)\times\breve{D}\right)\text{-თვის}$$

გვექნება $\beta\in B$, რადგანაც $X\setminus\left(\breve{D}\cup\{t_1\}\right)\neq\varnothing$ და $Z_1\beta=\breve{D}\beta=\varnothing$.

ლემა 1.2.2-ის $c)$ დებულება დამტკიცებულია.

ლემა 1.2.2. დამტკიცებულია.

B_1, B_2 და B_3 სიმბოლოებით აღვნიშნოთ შემდეგი სიმრავლეები:

$$B_1=\left\{\alpha\in B_X(D)\mid \mathrm{V}\left(X^*,\alpha\right)=\left\{Z_1,\breve{D}\right\}\right\},$$
$$B_2=\left\{\alpha\in B_X(D)\mid \mathrm{V}\left(X^*,\alpha\right)=\left\{\varnothing,\breve{D}\right\}\right\},$$
$$B_3=\left\{\alpha\in B_X(D)\mid \mathrm{V}\left(X^*,\alpha\right)=\left\{\varnothing,Z_1\right\}\right\}.$$

B_1, B_2 და B_3 სიმრავლეების განმარტებებიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ

$$B_1\cap B_2=B_1\cap B_3=B_2\cap B_2=\varnothing. \qquad \ldots(1.2.9)$$

ლემა 1.2.3. *ვთქვათ,* $|X|\geq 3$, $D=\left\{\varnothing,Z_1,\breve{D}\right\}\in\Sigma_1(X,3)$ *და*

$$B=\left\{\alpha\in B_X(D)\mid V\left(X^*,\alpha\right)=D\right\}.$$

მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები;

a) $B_1\cup\left\{X\times Z_1, X\times\breve{D}\right\}$ *სიმრავლის ელემენტები არ წარმოიქმნება* B *სიმრავლის ელემენტებით;*

b) *თუ* $\left|X\setminus\breve{D}\right|\leq 1$, *მაშინ* $\alpha=\varnothing$ *ელემენტი არ წარმოიქმნება* B *სიმრავლის ელემენტებით;*

c) *თუ* $X=\breve{D}$, *მაშინ* B_3 *სიმრავლის ელემენტები არ წარმოიქმნება* B *სიმრავლის ელემენტებით.*

დამტკიცება. ვთქვათ, $\alpha=\delta\circ\beta$ ნებისმიერი $\alpha\in B_X(D)$ და $\delta,\beta\in B$-თვის. მაშინ δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე:

$\delta=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_2^\delta, Y_1^\delta, Y_0^\delta\notin\{\varnothing\}$. აქედან გამომდინარეობს შემდეგი ტოლობა:

$$\alpha=\delta\circ\beta=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta\right) \qquad \ldots(1.2.10)$$

α ბინარული მიმართებისთვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

1) თუ $\alpha\in B_X\left(D'\right)=B_1\cup\left\{X\times Z_1, X\times\breve{D}\right\}$, სადაც $D'=\left\{Z_1,\breve{D}\right\}$, მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე:

$$\alpha=\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\alpha\times\breve{D}\right).$$

(1.2.10) ტოლობიდან მივიღებთ, რომ

$$\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\alpha\times\breve{D}\right)=\alpha=\delta\circ\beta=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta\right).$$

ბოლო ტოლობის სამართლიანობა დაუშვებელია, ვინაიდან $Y_2^\delta\neq\varnothing$. ასე, რომ $B_1\cup\left\{X\times Z_1, X\times\breve{D}\right\}$ სიმრავლის ელემენტები არ წარმოიქმნება B სიმრავლის ელემენტებით.

ლემა 1.2.3-ის a) დებულება დამტკიცებულია.

2) ახლა, თუ $\alpha=\varnothing$, მაშინ (1.2.10) ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ

$$\varnothing=\alpha=\delta\circ\beta=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta\right).$$

ბოლო ტოლობის გათვალისწინებით გვექნება, რომ $Z_1\beta=\breve{D}\beta=\varnothing$. ლემა 1.2.2.-ის c) დებულების თანახმად ნებისმიერი $\beta\in B$-თვის ტოლობა $Z_1\beta=\breve{D}\beta=\varnothing$ სამართლიანია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 2$. ასე, რომ თუ $\left|X\setminus\breve{D}\right|\leq 1$, *მაშინ* $\alpha=\varnothing$ *ელემენტი არ წარმოიქმნება* B *სიმრავლის ელემენტებით.*

ლემა 1.2.3-ის b) დებულება დამტკიცებულია.

3) ვთქვათ, $X=\breve{D}$ და $\alpha\in B_3$, მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha=\left(Y_2^\alpha\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)$, სადაც $Y_2^\alpha, Y_1^\alpha\notin\{\varnothing\}$. მაშინ 1.2.10 ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ

$$\left(Y_2^\alpha\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)=\alpha=\delta\circ\beta=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta\right).$$

ბოლო ტოლობა სამართლიანია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $Z_1\beta=\varnothing,\ \breve{D}\beta=Z_1$ ან $Z_1\beta=\breve{D}\beta=Z_1$, ვინაიდან $Z_1\subset\breve{D}$.

$a')$ თუ $Z_1\beta=\varnothing,\ \breve{D}\beta=Z_1$, მაშინ ლემა 1.2.2.-ის $d)$ დებულების თანახმად $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$, რაც ეწინააღმდეგება პირობას $X=\breve{D}$.

$b')$ თუ $Z_1\beta=\breve{D}\beta=Z_1$, მაშინ ლემა 1.2.2.-ის $b)$ დებულების თანახმად $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$, რაც ეწინააღმდეგება პირობას $X=\breve{D}$.

ამ შემთხვევაში $a')$ და $b')$ პირობებიდან გამომდინარეობს, რომ B_3 სიმრავლის ელემენტები არ წარმოიქმნება სიმრავლის ელემენტებით.

ლემა 1.2.3-ის $c)$ დებულება დამტკიცებულია.

ლემა 1.2.3 დამტკიცებულია.

ლემა 1.2.4. *ვთქვათ,* $|X|\geq 3$, $D=\left\{\varnothing,Z_1,\breve{D}\right\}\in\Sigma_1\left(X,3\right)$ *და*

$$B=\left\{\alpha\in B_X\left(D\right)|V\left(X^*,\alpha\right)=D\right\},\ \gamma_0=\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right).$$

მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები:

a) *თუ* $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$, *მაშინ* $B_2\cup B_3$ *სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნებიან* B *სიმრავლის ელემენტებით;*

b) *თუ* $X=\breve{D}$, *მაშინ* B_3 *სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნებიან* $B\cup B_1\cup\{\gamma_0\}$ *სიმრავლის ელემენტებით;*

c) *თუ* $X=\breve{D}$, *მაშინ* B_2 *სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნებიან* $B_1\cup\{\gamma_0\}$ *სიმრავლის ელემენტებით.*

დამტკიცება. ახლა ვთქვათ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ და α იყოს $B_2\cup B_3$ სიმრავლის ნებისმიერი ელემენტი.

α ბინარული მიმართებისთვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები.

1) $\alpha\in B_2$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება სახე: $\alpha=\left(Y_2^\alpha\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^\alpha\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_2^\alpha,Y_0^\alpha\notin\{\varnothing\}$.

$a')$ თუ $\left|Y_0^\alpha\right|\geq 1$, მაშინ $\left|Y_2^\alpha\right|\geq 2$ $\left(\left|X\right|\geq 3\right)$ (იხ. ლემა 1.2.1-ის $a)$ დებულება). ამ შემთხვევაში დავუშვათ, რომ

$$\beta=\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times Z_1\right)\cup\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times\breve{D}\right),$$

მაშინ $\beta\in B$, ვინაიდან $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ და

$$\begin{aligned}\delta\circ\beta&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta\right)=\\&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)=\\&=\left(\left(Y_2^\delta\cup Y_1^\delta\right)\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)=\alpha,\end{aligned}$$

თუ $Y_2^\delta\cup Y_1^\delta=Y_2^\alpha$ და $Y_0^\delta=Y_0^\alpha$, ვინაიდან $\left|Y_2^\delta\right|\geq 1$, $\left|Y_1^\delta\right|\geq 1$ და $\left|Y_0^\delta\right|\geq 1$.

$b')$ ვთქვათ $\left|Y_2^\alpha\right|\geq 1$, მაშინ $\left|Y_0^\alpha\right|\geq 2$ $\left(\left|X\right|\geq 3\right)$. ამ შემთხვევაში დავუშვათ, რომ

$$\beta=\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times Z_1\right)\cup\left(Z_1\times\breve{D}\right),$$

მაშინ $\beta\in B$, ვინაიდან $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ და

$$\begin{aligned}\delta\circ\beta&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta\right)=\\&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times\breve{D}\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)=\\&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(\left(Y_1^\delta\cup Y_0^\delta\right)\times\breve{D}\right)=\alpha,\end{aligned}$$

თუ $Y_2^\delta=Y_2^\alpha$ და $Y_1^\delta\cup Y_0^\delta=Y_0^\alpha$, ვინაიდან $\left|Y_2^\delta\right|\geq 1$, $\left|Y_1^\delta\right|\geq 1$ და $\left|Y_0^\delta\right|\geq 1$.

გამომდინარე აქედან B_2 სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნება B სიმრავლის ელემენტებით.

2) $\alpha\in B_3$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება სახე: $\alpha=\left(Y_2^\alpha\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)$, სადაც $Y_2^\alpha,Y_1^\alpha\notin\{\varnothing\}$.

$c')$ ვთქვათ $\left|Y_1^\alpha\right|\geq 1$ მაშინ $\left|Y_2^\alpha\right|\geq 2$ $\left(\left|X\right|\geq 3\right)$. ამ შემთხვევაში დავუშვათ, რომ

$$\beta=\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(\breve{D}\setminus Z_1\right)\times Z_1\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right),$$

მაშინ $\beta\in B$, ვინაიდან $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ და

$$\begin{aligned}\delta\circ\beta&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta\right)=\\&=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^\delta\times Z_1\right)=\\&=\left(\left(Y_2^\delta\cup Y_1^\delta\right)\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^\delta\times Z_1\right)=\alpha,\end{aligned}$$

თუ $Y_2^\delta \cup Y_1^\delta = Y_2^\alpha$ და $Y_0^\delta = Y_1^\alpha$, ვინაიდან $\left|Y_2^\delta\right| \geq 1$, $\left|Y_1^\delta\right| \geq 1$ და $\left|Y_0^\delta\right| \geq 1$.

$d')$ ვთქვათ $\left|Y_2^\alpha\right| \geq 1$ მაშინ $\left|Y_1^\alpha\right| \geq 2$ $\left(\left|X\right| \geq 3\right)$. ამ შემთხვევაში დავუშვათ, რომ

$$\beta = \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup \left(Z_1 \times Z_1\right) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \breve{D}\right),$$

მაშინ $\beta \in B$, ვინაიდან $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$ და

$$\begin{aligned}\delta \circ \beta &= \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\beta\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\beta\right) = \\ &= \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times Z_1\right) = \\ &= \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(\left(Y_1^\delta \cup Y_0^\delta\right) \times Z_1\right) = \alpha,\end{aligned}$$

თუ $Y_2^\delta = Y_2^\alpha$ და $Y_1^\delta \cup Y_0^\delta = Y_1^\alpha$, ვინაიდან $\left|Y_2^\delta\right| \geq 1$, $\left|Y_1^\delta\right| \geq 1$ და $\left|Y_0^\delta\right| \geq 1$.

გამომდინარე აქედან B_3 სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნება B სიმრავლის ელემენტებით.

ლემა 1.2.4-ის $a)$ დებულება დამტკიცებულია.

3) ვთქვათ, $X = \breve{D}$, $\delta_0 = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right)$ და α ბინარული მიმართება იყოს B_3 სიმრავლის ელემენტი. მაშინ $\delta_0 \in B_1$ და α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = \left(Y_2^\alpha \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\alpha \times Z_1\right)$, სადაც $Y_2^\alpha, Y_1^\alpha \notin \{\varnothing\}$. ახლა ვთქვათ $\alpha = \delta \circ \beta$ ნებისმიერი $\delta, \beta \in \left(B \cup \left\{\gamma_1, \gamma_2\right\}\right) \setminus \left\{\alpha\right\}$ -თვის.

Y_2^α და Y_1^α სიმრავლეებისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

$e')$ ვთქვათ $Y_1^\alpha \geq 1$, მაშინ $Y_2^\alpha \geq 2$ ($|X| \geq 3$, დაშვების თანახმად) და $\delta \in B \setminus \{\alpha\}$, მაშინ B სიმრავლის განსაზღვრის თანახმად δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება სახე: $\delta = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right)$, სადაც $Y_2^\delta, Y_1^\delta, Y_0^\delta \notin \{\varnothing\}$ ვინაიდან $V\left(X^*, \delta\right) = D$ და

$$\begin{aligned}\delta \circ \gamma_0 &= \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\gamma_0\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\gamma_0\right) = \\ &= \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^\delta \times Z_1\right) = \left(\left(Y_2^\delta \cup Y_1^\delta\right) \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^\delta \times Z_1\right) = \alpha,\end{aligned}$$

თუ $Y_2^\delta \cup Y_1^\delta = Y_2^\alpha$ და $Y_0^\delta = Y_1^\alpha$, ვინაიდან $Y_2^\delta, Y_1^\delta, Y_0^\delta \notin \{\varnothing\}$.

$f')$ თუ $Y_2^\alpha \geq 1$, მაშინ $Y_1^\alpha \geq 2$ და

$$\delta_0 \circ \gamma_0 = \left(\left(X \setminus Z_1 \right) \times Z_1 \gamma_0 \right) \cup \left(Z_1 \times \breve{D} \gamma_0 \right) =$$
$$= \left(\left(X \setminus Z_1 \right) \times \varnothing \right) \cup \left(Z_1 \times Z_1 \right) = \gamma_1,$$
$$\delta \circ \gamma_1 = \left(Y_2^\delta \times \varnothing \right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1 \gamma_1 \right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D} \gamma_1 \right) =$$
$$= \left(Y_2^\delta \times \varnothing \right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1 \right) \cup \left(Y_0^\delta \times Z_1 \right) = \left(Y_2^\delta \times \varnothing \right) \cup \left(\left(Y_1^\delta \cup Y_0^\delta \right) \times Z_1 \right) = \alpha,$$

თუ $Y_2^\delta = Y_2^\alpha$ და $Y_1^\delta \cup Y_0^\delta = Y_1^\alpha$, ვინაიდან $Y_2^\delta, Y_1^\delta, Y_0^\delta \notin \{\varnothing\}$.

იმ შემთხვევაში, თუ $X = \breve{D}$, მაშინ B_3 სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნება $B \cup B_1 \cup \{\gamma_0\}$ სიმრავლის ელემენტებით.

ლემა 1.2.4-ის b) დებულება დამტკიცებულია.

4) ვთქვათ, $X = \breve{D}$ და α იყოს B_2 სიმრავლის ელემენტი. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = \left(Y_2^\alpha \times \varnothing \right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D} \right)$, სადაც $Y_2^\alpha, Y_0^\alpha \notin \{\varnothing\}$. ახლა ვთქვათ $\alpha = \delta \circ \beta$ ნებისმიერი $\delta, \beta \in \left(B_1 \cup \{\gamma_0\} \right) \setminus \{\alpha\}$.

ადვილად ჩანს, რომ X სიმრავლის ქვესიმრავლეები Y_2^α და Y_0^α შეადგენენ თვით X სიმრავლის ორელემენტიან დანაწილებას. აქედან გამომდინარეობს, რომ $\delta = \left(Y_2^\alpha \times Z_1 \right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D} \right)$ არის B_1 სიმრავლის ელემენტი და ბინარული γ_0 და δ_0 მიმართების განსაზღვრის მიხედვით $\gamma_0 \circ \delta_0 \in B_2$.

$$\gamma_0 \circ \delta_0 = \left(Z_1 \times \varnothing \delta \right) \cup \left(\left(X \setminus Z_1 \right) \times Z_1 \delta \right) =$$
$$= \left(Z_1 \times \varnothing \right) \cup \left(\left(X \setminus Z_1 \right) \times \breve{D} \right) = \gamma_2,$$
$$\delta \circ \gamma_2 = \left(Y_2^\alpha \times Z_1 \gamma_2 \right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D} \gamma_2 \right) = \left(Y_2^\alpha \times \varnothing \right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D} \right) = \alpha .$$

აქედან კი უკვე გამომდინარეობს, რომ B_2 სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნება $B_1 \cup \{\gamma_0\}$. სიმრავლის ელემენტებით.

ლემა 1.2.4-ის c) დებულება დამტკიცებულია.

ლემა 1.2.4 დამტკიცებულია.

ლემა 1.2.5. *ვთქვათ,* $|X| \ge 3$, $D = \{\varnothing, Z_1, \breve{D}\} \in \Sigma_1(X,3)$. *თუ* $|X \setminus \breve{D}| \ge 1$, *მაშინ* $B_1' = B \cup B_1$ *წარმოადგენს* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის დაუყვან წარმომქმნელთა სისტემას.*

დამტკიცება. ვთქვათ, $|X| \ge 3$ და $|X \setminus \breve{D}| \ge 1$. უპირველეს ყოვლისა დავამტკიცოთ, რომ $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ნებისმიერი ელემენტი წარმოიქმნება B_1' სიმრავლისგან. მართლაც, ვთქვათ α იყოს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ნებისმიერი ელემენტი. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე:

$$\alpha = (Y_2^{\alpha} \times \varnothing) \cup (Y_1^{\alpha} \times Z_1) \cup (Y_0^{\alpha} \times \breve{D}).$$

Y_2^{α}, Y_1^{α} და Y_0^{α} სიმრავლეებისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

1) $Y_2^{\alpha}, Y_1^{\alpha}, Y_0^{\alpha} \notin \{\varnothing\}$. მაშინ გვექნება $V(X^*, \alpha) = D$, ე.ი. $\alpha \in B$.

2) $Y_2^{\alpha} = \varnothing$ $Y_1^{\alpha}, Y_0^{\alpha} \notin \{\varnothing\}$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = (Y_1^{\alpha} \times Z_1) \cup (Y_0^{\alpha} \times \breve{D})$, ე.ი. $\alpha \in B_1$.

3) $Y_1^{\alpha} = \varnothing$ $Y_2^{\alpha}, Y_0^{\alpha} \notin \{\varnothing\}$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = (Y_2^{\alpha} \times \varnothing) \cup (Y_0^{\alpha} \times \breve{D})$. ამრიგად $\alpha \in B_2$. ლემა 1.2.4-ის $a)$ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ B_2 სიმრავლის ელემენტები წარმოქმნიან B სიმრავლის ელემენტებს.

4) $Y_0^{\alpha} = \varnothing$ $Y_2^{\alpha}, Y_1^{\alpha} \notin \{\varnothing\}$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = (Y_2^{\alpha} \times \varnothing) \cup (Y_1^{\alpha} \times Z_1)$. ამრიგად $\alpha \in B_3$. ლემა 1.2.4-ის $a)$ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ B_3 სიმრავლის ელემენტები წარმოქმნიან B სიმრავლის ელემენტებს.

5) თუ $Y_2^{\alpha} = Y_0^{\alpha} = \varnothing$, $Y_1^{\alpha} \ne \varnothing$, ან $Y_2^{\alpha} = Y_1^{\alpha} = \varnothing$, მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = X \times Z_1$, ან $\alpha = X \times \breve{D}$.

ვთქვათ δ და β_0 ბინარული მიმართებების კვაზინორმალურ წარმოდგენებს აქვს შემდეგი სახე: $\delta = (Y_1^{\delta} \times Z_1) \cup (Y_0^{\delta} \times \breve{D})$ და $\beta_0 = (\breve{D} \times Z_1) \cup ((X \setminus \breve{D}) \times \breve{D})$, სადაც

$Y_1^\delta, Y_0^\delta \notin \{\varnothing\}$, ე.ი. $\delta, \beta_0 \in B_1$ და $Y_1^\delta \cup Y_0^\delta = X$, ვინაიდან $X \setminus \breve{D} \neq \varnothing$ (დაშვების თანახმად $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$). ამ შემთხვევაში სრულდება შემდეგი ტოლობა:

$$\begin{aligned}\delta \circ \beta_0 &= \left(\left(Y_1^\delta \times Z_1\beta_0\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\beta_0\right)\right) = \\ &= \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times Z_1\right) = X \times Z_1 = \alpha.\end{aligned}$$

ახლა, ვთქვათ $\beta_1 = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right)$, მაშინ $\beta_1 \in B_1$, ვინაიდან $Z_1 \neq \varnothing$ და D ნახევარმესერის განმარტებიდან გამომდინარე $X \setminus Z_1 \neq \varnothing$. ამ შემთხვევაში სრულდება შემდეგი ტოლობა:

$$\begin{aligned}\delta \circ \beta_1 &= \left(\left(Y_1^\delta \times Z_1\beta_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\beta_1\right)\right) = \\ &= \left(Y_1^\delta \times \breve{D}\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right) = X \times \breve{D} = \alpha.\end{aligned}$$

ვთქვათ, ნებისმიერი $\delta = \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right) \in B_1$ -თვის და $\beta = \left(\breve{D} \times Z_1\right) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \breve{D}\right)$ - თვის გვაქვს, რომ $\beta \in B_1$ ვინაიდან $X \setminus \breve{D} \neq \varnothing$ $\left(\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1\right)$. ასე, რომ სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$\begin{aligned}\delta \circ \beta &= \left(\left(Y_1^\delta \times Z_1\beta\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\beta\right)\right) = \\ &= \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times Z_1\right) = X \times Z_1 = \alpha.\end{aligned}$$

ვთქვათ, ნებისმიერი $\delta = \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right) \in B_1$ -თვის და $\beta = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right)$ - თვის გვაქვს, რომ $\beta \in B_1$, ვინაიდან $Z_1 \neq \varnothing$ და D ნახევარმესერის განმარტების თანახმად $X \setminus Z_1 \neq \varnothing$. ამ შემთხვევაში სრულდება შემდეგი ტოლობა:

$$\begin{aligned}\delta \circ \beta &= \left(\left(Y_1^\delta \times Z_1\beta\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\beta\right)\right) = \\ &= \left(Y_1^\delta \times \breve{D}\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right) = X \times \breve{D} = \alpha.\end{aligned}$$

გამომდინარე აქედან $\alpha = X \times Z_1$ და $\alpha = X \times \breve{D}$ ელემენტები წარმოქმნიან B_1 სიმრავლის ელემენტებს.

6) $Y_1^\alpha = Y_0^\alpha = \varnothing$, მაშინ $Y_2^\alpha = X$, ვინაიდან α არის ბინარული მიმართება. აქედან კი გვექნება: $\alpha = \varnothing$.

ახლა ვთქვათ $\delta = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right)$ არის B სიმრავლის ნებისმიერი ელემენტი (დაშვების თანახმად მოცემული $|X| \geq 3$ უტოლობა სამართლიანია).

შემდეგ, დაშვების თანახმად გვაქვს $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$. ამ შემთხვევაში $\beta_2=\left(\breve{D}\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)$-თვის გვაქვს $\beta_2\in B_2$ და ლემა 1.2.4-ის $a)$ დებულების თანახმად β_2 ბინარული მიმართება წარმოიქმნება B სიმრავლის ელემენტებით. და

$$\delta\circ\beta_2=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta_2\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta_2\right)=$$
$$=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_0^\delta\times\varnothing\right)=X\times\varnothing=\varnothing.$$

ამრიგად, B_1' წარმოადგენს $B_X\left(D\right)$ ნახევარჯგუფის წარმომქმნელთა სისტემას.

დაშვების თანახმად $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ და დავამტკიცოთ, რომ B_1' არის დაუყვანი სიმრავლე.

ვთქვათ, $\alpha\in B_1'$ და α ელემენტისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

7) თუ $\alpha\in B$, მაშინ $\alpha\neq\sigma\circ\tau$ ყოველი $\sigma,\tau\in B_X\left(D\right)\setminus\{\alpha\}$-თვის, ვინაიდან ლემა 1.2.1-ის $d)$ დებულების თანახმად B წარმოადგენს $B_X\left(D\right)$ ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლეს. ამრიგად, $\alpha\neq\sigma\circ\tau$ ყოველი $\sigma,\tau\in B_1'\setminus\{\alpha\}$-თვის, ვინაიდან $B_1'\setminus\{\alpha\}\subseteq B_X\left(D\right)\setminus\{\alpha\}$.

ამ შემთხვევაში გვექნება $\alpha\notin B$.

8) თუ $\alpha\in B_1$, მაშინ B_1 სიმრავლის განმარტების თანახმად α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha=\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\alpha\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_1^\alpha,Y_0^\alpha\notin\{\varnothing\}$. შემდეგ, ვთქვათ $\alpha=\delta\circ\beta$ ნებისმიერი $\delta,\beta\in B_1'\setminus\{\alpha\}$-თვის და δ ელემენტისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

$a')$ $\delta\in B\setminus\{\alpha\}$ და $\beta\in B_1'\setminus\{\alpha\}$. მაშინ B_1 სიმრავლის განმარტების თანახმად δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\delta=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_2^\delta,Y_1^\delta,Y_0^\delta\notin\{\varnothing\}$, ვინაიდან $V\left(X^*,\delta\right)=D$ და

$$\left(Y_1^\alpha\times Z_1\right)\cup\left(Y_0^\alpha\times\breve{D}\right)=\alpha=\delta\circ\beta=\left(Y_2^\delta\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^\delta\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^\delta\times\breve{D}\beta\right).$$

ბოლო ტოლობა დაუშვებელია, ვინაიდან $Y_2^\alpha\notin\{\varnothing\}$.

ასე, რომ $\delta\notin B\setminus\{\alpha\}$.

$b')$ თუ $\delta \in B_1 \setminus \{\alpha\}$ და $\beta \in B_1' \setminus \{\alpha\}$, მაშინ B_1 სიმრავლის განმარტების თანახმად δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\delta = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right)$, სადაც $Y_1^{\delta}, Y_0^{\delta} \notin \{\varnothing\}$ და

$$\left(Y_1^{\alpha} \times Z_1\right) \cup \left(Y_0^{\alpha} \times \breve{D}\right) = \alpha = \delta \circ \beta = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\beta\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\beta\right).$$

ბოლო ტოლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ $Z_1\beta = Z_1$, $\breve{D}\beta = \breve{D}$, ვინაიდან $Z_1 \subset \breve{D}$. აქედან მივიღებთ, რომ

$$\alpha = \left(Y_1^{\alpha} \times Z_1\right) \cup \left(Y_0^{\alpha} \times \breve{D}\right) = \left(Y_1^{\delta} \times Z_1\right) \cup \left(Y_0^{\delta} \times \breve{D}\right) = \delta .$$

მაგრამ ტოლობა $\alpha = \delta$ ეწინააღმდეგება პირობას $\delta \in B_1 \setminus \{\alpha\}$,

ასეთ შემთხვევაში მივიღებთ, რომ $\delta \notin B_1 \setminus \{\alpha\}$.

ამრიგად, $a')$ და $b')$ შემთხვევებიდან გამომდინარეობს, რომ $\alpha \notin B_1$.

გამომდინარე აქედან, ნებისმიერი $\delta, \beta \in B_1' \setminus \{\alpha\}$-თვის $\alpha \neq \delta \circ \beta$, ე.ი. $B_1' = B \cup B_1$ არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სისტემა.

ლემა 1.2.5 დამტკიცებულია.

ლემა 1.2.6. *ვთქვათ,* $|X| \geq 3$, $D = \left\{\varnothing, Z_1, \breve{D}\right\} \in \Sigma_1(X,3)$ *და*

$$B = \left\{\alpha \in B_X(D) \mid V\left(X^*, \alpha\right) = D\right\},\ B_1 = \left\{\alpha \in B_X(D) \mid V\left(X^*, \alpha\right) = \left\{Z_1, \breve{D}\right\}\right\},$$
$$\gamma_0 = \left(Z_1 \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right).$$

თუ $X = \breve{D}$, *მაშინ* $B_2' = B \cup B_1 \cup \{\gamma_0\}$ *არის* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სისტემა.*

დამტკიცება. ვთქვათ $|X| \geq 3$, $X = \breve{D}$. ჩვენ უკვე დამტკიცებული გვაქვს, რომ $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ელემენტებს წარმოქმნის $B_2' = B \cup B_1 \cup \{\gamma_1\}$ სიმრავლის ელემენტები. მართლაც, ვთქვათ α იყოს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ნებისმიერი ელემენტი. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე:

$$\alpha = \left(Y_2^{\alpha} \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^{\alpha} \times Z_1\right) \cup \left(Y_0^{\alpha} \times \breve{D}\right).$$

Y_2^{α}, Y_1^{α} და Y_0^{α} სიმრავლეებისთვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები.

1) $Y_2^{\alpha}, Y_1^{\alpha}, Y_0^{\alpha} \notin \{\varnothing\}$. მაშინ გვექნება $V\left(X^*, \alpha\right) = D$, ე.ი. $\alpha \in B$;

2) $Y_2^\alpha = \varnothing$ $Y_1^\alpha, Y_0^\alpha \notin \{\varnothing\}$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = \left(Y_1^\alpha \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D}\right)$, ე.ი. $\alpha \in B_1$;

3) $Y_1^\alpha = \varnothing$ $Y_2^\alpha, Y_0^\alpha \notin \{\varnothing\}$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = \left(Y_2^\alpha \times \varnothing\right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D}\right) \in B_2$ და ლემა 1.2.4-ის c) დებულების თანახმად B_2 სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნება $B_1 \cup \{\gamma_0\}$ სიმრავლის ელემენტებით.

4) $Y_0^\alpha = \varnothing$ $Y_2^\alpha, Y_1^\alpha \notin \{\varnothing\}$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = \left(Y_2^\alpha \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\alpha \times Z_1\right) \in B_3$. მაშინ ლემა 1.2.4-ის b) დებულების თანახმად B_3 სიმრავლის ელემენტები წარმოიქმნება $B \cup B_1 \cup \{\gamma_0\}$ სიმრავლის ელემენტებით.

5) თუ $Y_2^\alpha = Y_0^\alpha = \varnothing$, $Y_1^\alpha \neq \varnothing$ ან $Y_2^\alpha = Y_1^\alpha = \varnothing$, $Y_0^\alpha \neq \varnothing$. მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = X \times Z_1$ ან $\alpha = X \times \breve{D}$.

თუ $\delta_0 = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right)$ და $\delta_1 = \left(Z_1 \times Z_1\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right)$, მაშინ $\delta_0, \delta_1 \in B_1$, ვინაიდან $|Z_1| \geq 1$ და D ნახევარმესერის განმარტებიდან გამომდინარე $|X \setminus Z_1| \geq 1$ $\left(\varnothing \subset Z_1 \subset \breve{D}\right)$. ასევე

$$\begin{aligned}
&\delta_0 \circ \gamma_0 = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup \left(Z_1 \times Z_1\right) = \gamma_1 \\
&\delta_1 \circ \gamma_1 = \left(Z_1 \times Z_1 \gamma_1\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \breve{D} \gamma_1\right) = \\
&\qquad = \left(Z_1 \times Z_1\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right) = X \times Z_1 = \alpha, \\
&\delta_0 \circ \delta_0 = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1 \delta_0\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D} \delta_0\right) = \\
&\qquad = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right) = X \times \breve{D} = \alpha.
\end{aligned}$$

ამ შემთხვევაში $\alpha = X \times Z_1$ და $\alpha = X \times \breve{D}$ წარმოიქმნება $B_1 \cup \{\gamma_0\}$ სიმრავლის ელემენტებით.

6) $Y_1^\alpha = Y_0^\alpha = \varnothing$. მაშინ ვინაიდან ბინარული α მიმართების წარმოდგენა არის კვაზინორმალური, $Y_2^\alpha = X$. მაშინ $\alpha = \varnothing$ და

$$\begin{aligned}
&\gamma_0 \circ \gamma_0 = \left(\left(Z_1 \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right)\right) \circ \gamma_0 = \left(Z_1 \times \varnothing \gamma_0\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1 \gamma_0\right) = \\
&= \left(Z_1 \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) = X \times \varnothing = \varnothing.
\end{aligned}$$

მოცემულ შემთხვევაში ბინარულ $\alpha = \varnothing$ მიმართებები წარმოიქმნება B_2' სიმრავლის ელემენტებით.

ამრიგად, $B_2' = B \cup B_1 \cup \{\gamma_0\}$ არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის წარმომქმნელთა სისტემა.

ახლა, ვთქვათ $|X| \geq 3$, $X = \breve{D}$ და დავამტკიცოთ, რომ $B_2' = B \cup B_1 \cup \{\gamma_1\}$ სიმრავლე არის დაუყვანი. $\alpha \in B_2'$ ელემენტისათვის განვიხილოთ შემდეგი შეთხვევები:

7) თუ $\alpha \in B$, მაშინ $\alpha \neq \sigma \circ \tau$ ყოველი $\sigma, \tau \in B_X(D) \setminus \{\alpha\}$-თვის, ვინაიდან ლემა 1.2.1-ის $d)$ დებულების თანახმად B წარმოადგენ $B_X(D)$ ნახევარჯგუფის გარე ელემენტთა სიმრავლეს. ამრიგად, $\alpha \neq \sigma \circ \tau$ ყოველი $\sigma, \tau \in B_2' \setminus \{\alpha\}$-თვის, ვინაიდან $B_2' \setminus \{\alpha\} \subseteq B_X(D) \setminus \{\alpha\}$.

ასეთ შემთხვევაში $\alpha \notin B$.

8) ვთქვათ $\alpha \in B_1$, მაშინ B_1 სიმრავლის განმარტებიდან გამომდინარე α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\alpha = \left(Y_1^\alpha \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D}\right)$, სადაც $Y_1^\alpha, Y_0^\alpha \notin \{\varnothing\}$. შემდეგ, ვთქვათ $\alpha = \delta \circ \beta$ ნებისმიერი $\delta, \beta \in B_2' \setminus \{\alpha\}$-თვის.

δ ელემენტისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

$a')$ თუ $\delta \in B \setminus \{\alpha\}$ და $\beta \in B_2' \setminus \{\alpha\}$, მაშინ B სიმრავლის განმარტებიდან გამომდინარე δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\delta = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right)$, სადაც $Y_2^\delta, Y_1^\delta, Y_0^\delta \notin \{\varnothing\}$, ვინაიდან $V\left(X^*, \delta\right) = D$ და

$$\left(Y_1^\alpha \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\alpha \times \breve{D}\right) = \alpha = \delta \circ \beta = \left(Y_2^\delta \times \varnothing\right) \cup \left(Y_1^\delta \times Z_1\beta\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\beta\right).$$

ვინაიდან $Y_2^\delta \notin \{\varnothing\}$, ბოლო ტოლობა დაუშვებელია.

ამრიგად, გვექნება: $\delta \notin B \setminus \{\alpha\}$.

$b')$ თუ $\delta \in B_1 \setminus \{\alpha\}$ და $\beta \in B_2' \setminus \{\alpha\}$, მაშინ B_1 სიმრავლის განმარტებიდან გამომდინარე δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\delta = \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right)$, სადაც $Y_1^\delta, Y_0^\delta \notin \{\varnothing\}$ და

$$\left(Y_1^{\alpha}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\alpha}\times\breve{D}\right)=\alpha=\delta\circ\beta=\left(Y_1^{\delta}\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\beta\right).$$

ვინაიდან $Z_1\subset\breve{D}$, ამიტომ ბოლო ტოლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა $Z_1=Z_1\beta$ და $\breve{D}=\breve{D}\beta$. ე.ი.

$$\alpha=\left(Y_1^{\alpha}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\alpha}\times\breve{D}\right)=\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)=\delta.$$

გვექნება, რომ $\alpha=\delta$, რაც ეწინააღმდეგება პირობას: $\delta\in B_1\setminus\{\alpha\}$.

ასეთ შემთხვევაში მივიღებთ, რომ $\delta\notin B_1\setminus\{\alpha\}$.

$c')$ თუ $\delta=\gamma_0$ და $\beta\in B_2'\setminus\{\alpha\}$, მაშინ $\delta=\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)$ და $\delta\neq\alpha$, ე.ი.

$$\left(Y_1^{\alpha}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\alpha}\times\breve{D}\right)=\alpha=\delta\circ\beta=\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\beta\right).$$

ვინაიდან $Y_1^{\alpha}, Z_1\notin\{\varnothing\}$, ბოლო ტოლობა დაუშვებელია.

ამ შემთხვევაში გვექნება $\delta\neq\gamma_0$.

$a')$, $b')$ და $c')$ შემთხვევებიდან გამომდინარეობს, რომ $\alpha\notin B_1$.

9) $\alpha=\gamma_0=\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)$. შემდეგ, ვთქვათ $\alpha=\delta\circ\beta$ ნებისმიერი $\delta,\beta\in B_2'\setminus\{\gamma_0\}$-თვის.

δ ელემენტისთვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

$a')$ თუ $\delta\in B\setminus\{\gamma_0\}$ და $\beta\in B_2'\setminus\{\gamma_0\}$, მაშინ B სიმრავლის განმარტებიდან გამომდინარე δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\delta=\left(Y_2^{\delta}\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^{\delta}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_2^{\delta}, Y_1^{\delta}, Y_0^{\delta}\notin\{\varnothing\}$, ვინაიდან $V\left(X^*,\delta\right)=D$ და

$$\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)=\alpha=\delta\circ\beta=\left(Y_2^{\delta}\times\varnothing\right)\cup\left(Y_1^{\delta}\times Z_1\beta\right)\cup\left(Y_0^{\delta}\times\breve{D}\beta\right).$$

ბოლო ტოლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ $Z_1\beta=\varnothing$, $Z_1=\breve{D}\beta$ ან $Z_1=Z_1\beta=\breve{D}\beta$.

თუ $Z_1\beta=\varnothing$, $Z_1=\breve{D}\beta$, მაშინ ლემა 1.2.2.-ის $a)$ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$. მაგრამ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ უტოლობა ეწინააღმდეგება $X=\breve{D}$ ტოლობას.

თუ $Z_1=Z_1\beta=\breve{D}\beta$, მაშინ ლემა 1.2.2.-ის $b)$ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$. მაგრამ $\left|X\setminus\breve{D}\right|\geq 1$ უტოლობა ეწინააღმდეგება $X=\breve{D}$ ტოლობას.

ამრიგად a') შემთხვევაში გვექნება, რომ $\delta \notin B \setminus \{\gamma_0\}$.

b') თუ $\delta \in B_1 \setminus \{\gamma_0\}$ და $\beta \in B_2' \setminus \{\gamma_0\}$, მაშინ B_1 სიმრავლის განმარტებიდან გამომდინარე δ ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას ექნება შემდეგი სახე: $\delta = \left(Y_1^\delta \times Z_1\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\right)$, სადაც $Y_1^\delta, Y_0^\delta \notin \{\varnothing\}$ და

$$\left(Z_1 \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right) = \alpha = \delta \circ \beta = \left(Y_1^\delta \times Z_1\beta\right) \cup \left(Y_0^\delta \times \breve{D}\beta\right).$$

ბოლო ტოლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ $Z_1\beta = \varnothing$ და $\breve{D}\beta = Z_1$, ვინაიდან $Z_1 \subset \breve{D}$.

თუ $Z_1\beta = \varnothing$ და $\breve{D}\beta = Z_1$ ყოველი $\beta \in B$-თვის, მაშინ ლემა 1.2.2.-ის a) დებულებიდან გამომდინარე გვექნება: $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$. მაგრამ ბოლო უტოლობა ეწინააღმდეგება $X = \breve{D}$ ტოლობას.

ამ შემთხვევაში გვექნება $\delta \notin B_1 \setminus \{\gamma_0\}$.

a') და b') შემთხვევებიდან გამომდინარეობს, რომ $\alpha \neq \gamma_0$.

მოცემულ შემთხვევაში $\alpha \neq \delta \circ \beta$ ყოველი $\delta, \beta \in B_2' \setminus \{\alpha\}$-თვის, ამრიგად, სიმრავლე $B_2' = B \cup B_1 \cup \{\gamma_0\}$ წარმოადგენს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვან წარმომქმნელთა სისტემას.

ლემა 1.2.6 დამტკიცებულია.

ლემა 1.2.7. *ვთქვათ,* $|X| = 2$, $D = \left\{\varnothing, Z_1, \breve{D}\right\} \in \Sigma_1(X, 3)$. *მაშინ* $B = \varnothing$ *და* $B_3' = B_1 \cup \{\gamma_0\}$ *სიმრავლე წარმოადგენს* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის დაუყვან წარმომქმნელთა სისტემას.*

დამტკიცება. ვთქვათ $X = \breve{D}$ და $|X| = 2$. მაშინ $B_X(D) = \{\gamma_0, \alpha_1, \alpha_2, ..., \alpha_8\}$, სადაც

$$\begin{aligned}
&\gamma_0 = \left(Z_1 \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right) = \left(X \setminus Z_1\right) \times Z_1,\\
&\alpha_1 = \left(Z_1 \times Z_1\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right),\ \alpha_2 = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right),\\
&\alpha_3 = X \times \varnothing = \varnothing,\ \alpha_4 = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup \left(Z_1 \times Z_1\right) = Z_1 \times Z_1,\\
&\alpha_5 = \left(Z_1 \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right) = \left(X \setminus Z_1\right) \times \breve{D},\\
&\alpha_6 = \left(\left(X \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right) = Z_1 \times \breve{D},\ \alpha_7 = X \times Z_1,\ \alpha_8 = X \times \breve{D}.
\end{aligned}$$

ამ შემთხვევაში გვექნება: $B = \varnothing$, $X = \breve{D}$, $B_1 = \{\alpha_1, \alpha_2\}$ და $B_3' = B_1 \cup \{\gamma_0\}$ არიან $B_X(D)$ ნახევარჯგუფის წარმომქმნელები. მართლაც:

$\circ$	γ_0	α_1	α_2
γ_0	α_3	γ_0	α_5
α_1	γ_0	α_1	α_8
α_2	α_4	α_2	α_8

სადაც $\alpha_2 \circ (\gamma_0 \circ \alpha_2) = \alpha_2 \circ \alpha_5 = \alpha_6$ და $(\alpha_1 \circ \alpha_2) \circ \gamma_0 = \alpha_8 \circ \gamma_0 = \alpha_7$. ბოლო პირობიდან და ლემა 1.2.6-დან გამომდინარეობს, რომ B_3' სიმრავლე წარმოადგენს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვან წარმომქმნელთა სისტემას.

ლემა 1.2.7 დამტკიცებულია.

თეორემა 1.2.4. *ვთქვათ,* $|X| \geq 3$, $D = \{\varnothing, Z_1, \breve{D}\} \in \Sigma_1(X,3)$. *თუ*

$$B = \{\alpha \in B_X(D) | V(X^*, \alpha) = D\},\ B_1 = \{\alpha \in B_X(D) | V(X^*, \alpha) = \{Z_1, \breve{D}\}\},$$
$$\gamma_0 = (Z_1 \times \varnothing) \cup ((X \setminus Z_1) \times Z_1).$$

მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები:

a) *თუ* $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$, *მაშინ* $B \cup B_1$ *სიმრავლე წარმოადგენს* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის დაუყვან წარმომქმნელთა სისტემას;*

b) *თუ* $X = \breve{D}$, *მაშინ* $B \cup B_1 \cup \{\gamma_0\}$ *სიმრავლე წარმოადგენს* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის დაუყვან წარმომქმნელთა სისტემას;*

c) *თუ* $|X| = 2$, *მაშინ* $B_1 \cup \{\gamma_0\}$ *სიმრავლე წარმოადგენს* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის დაუყვან წარმომქმნელთა სისტემას.*

დამტკიცება. $a)$, $b)$ და $c)$ დებულებების სამართლიანობა უშუალოდ გამომდი-ნარეობს შესაბამისად ლემა 1.2.5, 1.2.6 და 1.2.7-დან.

თეორემა 3.2.5. *ვთქვათ,* $D = \{\varnothing, Z_1, \breve{D}\} \in \Sigma_1(X,3)$. *თუ* X *სასრული სიმრავლეა და* $|X| = n$, *მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები:*

a) *თუ* $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$, *მაშინ* $|B \cup B_1|$ *ელემენტთა რაოდენობა, აღებული* $B \cup B_1$ *სიმრავლიდან, ტოლია*

$$\left|B\cup B_1\right| = 3^n - 2^{n+1} + 1\,;$$

b) *თუ* $|X|\geq 3$, $X=\breve{D}$, $\gamma_0=\left(Z_1\times\varnothing\right)\cup\left(\left(X\setminus Z_1\right)\times Z_1\right)$, *მაშინ* $\left|B\cup B_1\cup\left\{\gamma_0\right\}\right|$ *ელემენტთა რაოდენობა, აღებული* $B\cup B_1\cup\{\gamma_0\}$ *სიმრავლიდან, ტოლია*

$$\left|B\cup B_1\cup\left\{\gamma_0\right\}\right| = 3^n - 2^{n+1} + 2\,;$$

c) *თუ* $|X|=2$, *მაშინ* $\left|B_1\cup\left\{\gamma_0\right\}\right|$ *ელემენტთა რაოდენობა, აღებული* $B_1\cup\{\gamma_0\}$ *სიმრავლიდან, ტოლია* $\left|B_1\cup\left\{\gamma_0\right\}\right|=3$.

დამტკიცება. ვთქვათ, $B=\left\{\alpha\in B_X\left(D\right)\,|\,V\left(X^*,\alpha\right)=D\right\}$ და

$$\varphi_1=\begin{pmatrix}1&2&3\\1&2&3\end{pmatrix},\ \varphi_2=\begin{pmatrix}1&2&3\\1&3&2\end{pmatrix},\ \varphi_3=\begin{pmatrix}1&2&3\\2&1&3\end{pmatrix},$$
$$\varphi_4=\begin{pmatrix}1&2&3\\2&3&1\end{pmatrix},\ \varphi_5=\begin{pmatrix}1&2&3\\3&1&2\end{pmatrix},\ \varphi_6=\begin{pmatrix}1&2&3\\3&2&1\end{pmatrix}.$$

თუ $\alpha\in B$, მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს შემდეგი სახე: $\alpha=\left(Y^{\alpha}_{\varphi_j(1)}\times\varnothing\right)\cup\left(Y^{\alpha}_{\varphi_j(2)}\times Z_1\right)\cup\left(Y^{\alpha}_{\varphi_j(3)}\times\breve{D}\right)$, სადაც $j=1,2,\ldots,5,6$ და X სიმრავლის ქვესიმრავლეთა $Y^{\alpha}_{\varphi_j(1)},Y^{\alpha}_{\varphi_j(2)},Y^{\alpha}_{\varphi_j(3)}\notin\left\{\varnothing\right\}$ სისტემა წარმოადგენს X სიმრავლის დანაწილებას. მაშინ X სიმრავლის $Y^{\alpha}_{\varphi_j(1)},Y^{\alpha}_{\varphi_j(2)},Y^{\alpha}_{\varphi_j(3)}$ დანაწილებათა k_n^3 რაოდენობა ფიქსირებულ j-თვის $\left(1\leq j\leq 6\right)$ ტოლია

$$k_n^3=\sum_{i=1}^{3}\frac{\left(-1\right)^{3+i}}{\left(i-1\right)!\left(3-i\right)!}\cdot i^{n-1}=\frac{1}{2}\cdot 3^{n-1}-2^{n-1}+\frac{1}{2}\,.$$

(იხ , თეორემა 1.0.2). აქედან მივიღებთ, რომ $\left|B\right|=6\cdot k_n^3=3^n-3\cdot 2^n+3$.

თუ $\alpha\in B_1$, მაშინ α ბინარული მიმართების კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს შემდეგი სახე: $\alpha=\left(Y_1^{\alpha}\times Z_1\right)\cup\left(Y_0^{\alpha}\times\breve{D}\right)$, სადაც $Y_1^{\alpha},Y_0^{\alpha}$ სისტემა წარმოადგენს X სიმრავლის დანაწილებას. B_1 სიმრავლის განმარტების მიხედვით მივიღებთ: $B_1=B_X\left(D'\right)\setminus\left\{X\times Z_1,X\times\breve{D}\right\}$, სადაც $D'=\left\{Z_1,\breve{D}\right\}$. ამრიგად გვექნება: $\left|B_1\right|=\left|B_X\left(D'\right)\right|-2=2^{|X|}-2=2^n-2$. B, B_1 და $\left\{\gamma_0\right\}$ სიმრავლეების განმარტებებიდან გამომდინარეობს, რომ $B\cap B_1=B\cap\left\{\gamma_0\right\}=B_1\cap\left\{\gamma_0\right\}=\varnothing$. აქედან კი მივიღებთ, რომ

$$\left|B\cup B_1\right|=\left(3^n-3\cdot 2^n+3\right)+\left(2^n-2\right)=3^n-2^{n+1}+1\,,$$

თუ $\left|X \setminus \breve{D}\right| \geq 1$;

$$\left|B \cup B_1 \cup \{\gamma_0\}\right| = \left(3^n - 2^{n+1} + 1\right) + 1 = 3^n - 2^{n+1} + 2,$$

თუ $|X| \geq 3$, $X = \breve{D}$;

$$\left|B_1 \cup \{\gamma_0\}\right| = 2^{|2|} - 2 + 1 = 3,$$

თუ $|X| = 2$.

თეორემა 1.2.5 დამტკიცებულია.

მაგალითი 1.2.2. ვთქვათ, $X = \{1,2,3\}$, $Z_1 = \{1\}$, $\breve{D} = \{1,2\}$, $D = \{\varnothing, Z_1, \breve{D}\}$ და $\left|X \setminus \breve{D}\right| = 1$. მაშინ $B_X(D) = \{\alpha_1, \alpha_2, ..., \alpha_{27}\}$, სადაც

$$\begin{aligned}
&\alpha_1 = (Z_1 \times \varnothing) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \breve{D}\right),\\
&\alpha_2 = (Z_1 \times \varnothing) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times Z_1\right) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right),\\
&\alpha_3 = \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup (Z_1 \times Z_1) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \breve{D}\right),\\
&\alpha_4 = \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right),\\
&\alpha_5 = \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \varnothing\right) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right),\\
&\alpha_6 = \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \varnothing\right) \cup (Z_1 \times Z_1) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right),\\
&\alpha_7 = (Z_1 \times Z_1) \cup \left(\{2,3\} \times \breve{D}\right),\ \alpha_8 = \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times Z_1\right) \cup \left(\{1,3\} \times \breve{D}\right),\\
&\alpha_9 = \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times Z_1\right) \cup \left(\breve{D} \times \breve{D}\right),\ \alpha_{10} = \left(\breve{D} \times Z_1\right) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \breve{D}\right),\\
&\alpha_{11} = \left(\{1,3\} \times Z_1\right) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right),\ \alpha_{12} = \left(\{2,3\} \times Z_1\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right),\\
&\alpha_{13} = \left(\breve{D} \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times Z_1\right),\ \alpha_{14} = \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \varnothing\right) \cup \left(\breve{D} \times Z_1\right),\\
&\alpha_{15} = \left(\breve{D} \times \varnothing\right) \cup \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \breve{D}\right),\ \alpha_{16} = \left(\{1,3\} \times \varnothing\right) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \breve{D}\right),\\
&\alpha_{17} = \left(\{2,3\} \times \varnothing\right) \cup \left(Z_1 \times \breve{D}\right),\ \alpha_{18} = \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup \left(\{1,3\} \times \breve{D}\right),\\
&\alpha_{19} = \left(\left(X \setminus \breve{D}\right) \times \varnothing\right) \cup \left(\breve{D} \times \breve{D}\right),\ \alpha_{20} = (Z_1 \times \varnothing) \cup \left(\{2,3\} \times \breve{D}\right),\\
&\alpha_{21} = \left(\{1,3\} \times \varnothing\right) \cup \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times Z_1\right),\ \alpha_{22} = (Z_1 \times \varnothing) \cup \left(\{2,3\} \times Z_1\right),\\
&\alpha_{23} = \left(\{2,3\} \times \varnothing\right) \cup (Z_1 \times Z_1),\ \alpha_{24} = \left(\left(\breve{D} \setminus Z_1\right) \times \varnothing\right) \cup \left(\{1,3\} \times Z_1\right),\\
&\alpha_{25} = \varnothing,\ \alpha_{26} = \{1,2,3\} \times Z_1,\ \alpha_{27} = \{1,2,3\} \times \breve{D}.
\end{aligned}$$

$B = \{\alpha_1, \alpha_2, ..., \alpha_6\}$, $B_1 = \{\alpha_7, \alpha_8, ..., \alpha_{12}\}$ და $\left|B \cup B_1\right| = 12$.

	α_1	α_2	α_3	α_4	α_5	α_6	α_7	α_8	α_9	α_{10}	α_{11}	α_{12}
α_1	α_{13}	α_{15}	α_{22}	α_{20}	α_{20}	α_1	α_1	α_{20}	α_{20}	α_{22}	α_1	α_{20}
α_2	α_{21}	α_{16}	α_{22}	α_{20}	α_{20}	α_2	α_2	α_{20}	α_{20}	α_{22}	α_2	α_{20}

α_3	α_{13}	α_{15}	α_{24}	α_{18}	α_{18}	α_{18}	α_3	α_{18}	α_{18}	α_{24}	α_3	α_{18}
α_4	α_{23}	α_{17}	α_{24}	α_{18}	α_{18}	α_4	α_4	α_{18}	α_{18}	α_{24}	α_4	α_{18}
α_5	α_{23}	α_{17}	α_{14}	α_{19}	α_{19}	α_5	α_5	α_{19}	α_{19}	α_{14}	α_5	α_{19}
α_6	α_{21}	α_{16}	α_{14}	α_{19}	α_{19}	α_6	α_6	α_{19}	α_{19}	α_{14}	α_6	α_{19}
α_7	α_{22}	α_{20}	α_{26}	α_{27}	α_{27}	α_7	α_7	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_7	α_{27}
α_8	α_{24}	α_{24}	α_{26}	α_{27}	α_{27}	α_8	α_8	α_{27}	α_{27}	α_{26}	α_8	α_{27}
α_9	α_{14}	α_{19}	α_{26}	α_9	α_{27}	α_9	α_9	α_{27}	α_{27}	α_{26}	α_9	α_{27}
α_{10}	α_{13}	α_{15}	α_{26}	α_{27}	α_{27}	α_{10}	α_{10}	α_{27}	α_{27}	α_{26}	α_{10}	α_{27}
α_{11}	α_{21}	α_{16}	α_{26}	α_{27}	α_{27}	α_{11}	α_{11}	α_{27}	α_{27}	α_{26}	α_{11}	α_{27}
α_{12}	α_{17}	α_{23}	α_{26}	α_{27}	α_{27}	α_{12}	α_{12}	α_{27}	α_{27}	α_{26}	α_{12}	α_{27}

ამ შემთხვევაში გვექნება, რომ $\alpha_2 \circ \alpha_3 \circ \alpha_2 = \alpha_{22} \circ \alpha_2 = \alpha_{25}$, ე.ი. $B \cup B_1$ სიმრავლე არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სისტემა.

მაგალითი 1.2.3. ვთქვათ, $X = \{1,2,3\} = \breve{D}$, $Z_1 = \{1,2\}$, $D = \{\varnothing, Z_1, \breve{D}\}$ $X = \breve{D}$. მაშინ $B_X(D) = \{\alpha_1, \alpha_2, ..., \alpha_{27}\}$, სადაც

$$\begin{aligned}
&\alpha_1 = (\{1\}\times\varnothing)\cup(\{2\}\times Z_1)\cup(\{3\}\times \breve{D}),\ \alpha_2 = (\{1\}\times\varnothing)\cup(\{3\}\times Z_1)\cup(\{2\}\times \breve{D}),\\
&\alpha_3 = (\{2\}\times\varnothing)\cup(\{1\}\times Z_1)\cup(\{3\}\times \breve{D}),\ \alpha_4 = (\{2\}\times\varnothing)\cup(\{3\}\times Z_1)\cup(\{1\}\times \breve{D}),\\
&\alpha_5 = (\{3\}\times\varnothing)\cup(\{2\}\times Z_1)\cup(\{1\}\times \breve{D}),\ \alpha_6 = (\{3\}\times\varnothing)\cup(\{1\}\times Z_1)\cup(\{2\}\times \breve{D}),\\
&\alpha_7 = (\{1\}\times Z_1)\cup(\{2,3\}\times \breve{D}),\ \alpha_8 = (\{2\}\times Z_1)\cup(\{1,3\}\times \breve{D}),\\
&\alpha_9 = (\{3\}\times Z_1)\cup(Z_1\times \breve{D}),\ \alpha_{10} = (Z_1\times Z_1)\cup(\{3\}\times \breve{D}),\\
&\alpha_{11} = (\{1,3\}\times Z_1)\cup(\{2\}\times \breve{D}),\ \alpha_{12} = (\{2,3\}\times Z_1)\cup(\{1\}\times \breve{D}),\\
&\alpha_{13} = (\{3\}\times\varnothing)\cup(Z_1\times Z_1),\ \alpha_{14} = (Z_1\times\varnothing)\cup(\{3\}\times \breve{D}),\\
&\alpha_{15} = (Z_1\times\varnothing)\cup(\{3\}\times Z_1) = \gamma_0,\ \ \alpha_{16} = (\{1,3\}\times\varnothing)\cup(\{2\}\times \breve{D}),\\
&\alpha_{17} = (\{2,3\}\times\varnothing)\cup(\{1\}\times \breve{D}),\ \alpha_{18} = (\{2\}\times\varnothing)\cup(\{1,3\}\times \breve{D}),\\
&\alpha_{19} = (\{3\}\times\varnothing)\cup(Z_1\times \breve{D}),\ \alpha_{20} = (\{1\}\times\varnothing)\cup(\{2,3\}\times \breve{D}),\\
&\alpha_{21} = (\{1,3\}\times\varnothing)\cup(\{2\}\times Z_1),\ \alpha_{22} = (\{1\}\times\varnothing)\cup(\{2,3\}\times Z_1),\\
&\alpha_{23} = (\{2,3\}\times\varnothing)\cup(\{1\}\times Z_1),\ \alpha_{24} = (\{2\}\times\varnothing)\cup(\{1,3\}\times Z_1),\\
&\alpha_{25} = \varnothing,\ \alpha_{26} = \{1,2,3\}\times Z_1,\ \alpha_{27} = \{1,2,3\}\times \breve{D}.
\end{aligned}$$

$B=\{\alpha_1,\alpha_2,...,\alpha_6\}$, $B_1=\{\alpha_7,\alpha_8,...,\alpha_{12}\}$, $\gamma_0=\alpha_{15}$ და $\left|B\cup B_1\cup\{\gamma_0\}\right|=13$.

$\circ$	α_1	α_2	α_3	α_4	α_5	α_6	α_7	α_8	α_9	α_{10}	α_{11}	α_{12}	γ_0
α_1	α_1	α_{20}	α_1	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_1	α_{20}	α_{20}	γ_0
α_2	α_2	α_{20}	α_2	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{20}	α_{21}
α_3	α_3	α_{18}	α_3	α_4	α_{17}	α_{18}	α_{18}	α_{18}	α_{18}	α_3	α_4	α_4	γ_0
α_4	α_4	α_{18}	α_4	α_4	α_4	α_{18}	α_{18}	α_{18}	α_{18}	α_4	α_{18}	α_{18}	α_{23}
α_5	α_5	α_{19}	α_5	α_{17}	α_5	α_{19}	α_{19}	α_{19}	α_{19}	α_5	α_{19}	α_{19}	α_{23}
α_6	α_6	α_{19}	α_6	α_{19}	α_{19}	α_{19}	α_{19}	α_{19}	α_{19}	α_6	α_{19}	α_5	α_{21}
α_7	α_7	α_9	α_7	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_7	α_{27}	α_{27}	α_7	α_{27}	α_{27}	α_{22}
α_8	α_8	α_{27}	α_8	α_8	α_8	α_{27}	α_{27}	α_8	α_{27}	α_8	α_7	α_{27}	α_{22}
α_9	α_9	α_{27}	α_9	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_9	α_{26}	α_{27}	α_{27}	α_{13}
α_{10}	α_{10}	α_9	α_{10}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{10}	α_{27}	α_{27}	γ_0
α_{11}	α_{11}	α_{19}	α_{11}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{11}	α_{27}	α_{27}	α_{21}
α_{12}	α_{12}	α_{27}	α_{12}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{27}	α_{12}	α_{27}	α_{27}	α_{23}
γ_0	γ_0	α_{14}	γ_0	α_{14}	α_{14}	α_{14}	α_{14}	α_{14}	α_{14}	α_{14}	α_{14}	α_{14}	α_{25}

ამ შემთხვევაში გვექნება: $\alpha_{11}\circ\alpha_{15}\circ\alpha_9=\alpha_{11}\circ\alpha_{14}=\alpha_{16}$ და $\alpha_3\circ\alpha_9\circ\alpha_{15}=\alpha_{18}\circ\alpha_{15}=\alpha_{24}$, ე.ი. $B\cup B_1\cup\{\gamma_0\}$ სიმრავლე არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის დაუყვანი წარმომქმნელთა სისტემა.

თავი II

$\Sigma_4(X,8)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტები

მოცემულ თავში გამოყვანილია $D=\{Z_7,Z_6,Z_5,Z_4,Z_3,Z_2,Z_1,\breve{D}\}$ გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერის ფორმალური ტოლობები. სრულად არის გადმოცემული $\Sigma_4(X,8)$ კლასის გაერთიანებათა სრული $X-$ ნახევარმესერებით განსაზღვრულ ბინარულ მიმართებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების იდემპოტენტური ელემენტები, სასრული X სიმრავლის შემთხვევაში მოცემულია შესაბამისი ნახევარ-ჯგუფების იდემპოტენტურ ელემენტთა რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულები.

დასაწყისისთვის ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე განმარტება, თეორემა და შედეგი.

განმარტება 2.0.1 იტყვიან, რომ D გაერთიანებათა სრული $X-$ ნახევარმესერი წარმოადგენს გაერთიანებათა $XI-$ ნახევარმესერს, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას:

ა) $\Lambda(D,D_t)\in D$ ნებისმიერი $t\in\breve{D}$,

ბ) $Z=\bigcup_{t\in Z}\Lambda(D,D_t)$, ნებისმიერი არაცარიელი Z ელემენტისთვის აღებული D ნახევარმესერიდან.

(იხ. [1], განმარტება 2.14.2)

თეორემა 2.0.1 ვთქვათ, X სასრული სიმრავლეა δ და q შესაბამისად არიან D_ζ ნახევარმესერის ბაზისურ წყაროთა და ავტომორფიზმთა რაოდენობები. თუ $|X|=n\geq\delta$ და $\left|\sum_n(X,m)\right|=s$, მაშინ

$$s=\frac{1}{p}\cdot\sum_{p=\delta}^{m}\left(\sum_{i=1}^{p+1}\left(\frac{(-1)^{p+i+1}\cdot C_{m-\delta}^{p-\delta}\cdot(\delta!)\cdot((p-\delta)!)\cdot i^n}{(i-1)!\cdot(p-i+1)!}\right)\right).$$

(იხ. [1] თეორემა **11.5.1.**)

თეორემა 2.0.2 ვთქვათ, D არის გაერთიანებათა სრული $X-$ ნახევარმესერი. $B_X(D)$ ნახევარჯგუფი შეიცავს მარჯვენა ერთეულს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა D წარმოადგენს გაერთიანებათა $XI-$ ნახევარმესერს. (იხ. [1], თეორემა 6.1.3)

თეორემა 2.0.3 ვთქვათ, $Q=\{T_0,T_1,...,T_m\}$ $(m\geq 1)$ (იხ. ნახ. 2.0.1) არის



ნახ. 2.0.1

გაერთიანებათა $-$ ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომ

$$T_0\subset T_1\subset T_2\subset...\subset T_m\,.$$

მაშინ წარმოადგენს გაერთიანებათა $-$ ნახევარმესერს.

(იხ. [1] თეორემა 11.6.1)

თეორემა 2.0.4. ვთქვათ $Q=\{T_1,T_2,T_3,...,T_m\}$ $(m\geq 3)$ (იხ. ნახ. 2.0.2) არის გაერთიანებათა ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი და $j-$ ისეთი ფიქსირებული ნატურალური რიცხვი , რომ $0\leq j\leq m-3$ და



$$\begin{aligned}
&T_0\subset T_1\subset...\subset T_j\subset T_{j+1}\subset T_{j+3}\subset...\subset T_m,\\
&T_0\subset T_1\subset...\subset T_j\subset T_{j+2}\subset T_{j+3}\subset...\subset T_m,\\
&T_{j+1}\setminus T_{j+2}\neq\varnothing, T_{j+2}\setminus T_{j+1}\neq\varnothing,\\
&T_{j+1}\cup T_{j+2}=T_{j+3}
\end{aligned}$$

მაშინ ყოველთვის წარმოადგენს გაერთიანებათა XI -ნახევარმესერს.

(იხ. [1] თეორემა 11.6.3)

თეორემა 2.0.5. თუ Q არის ბადე, მაშინ ის წარმოადგენს გაერთიანებათა XI ნახევარმესერს.

ნახ. 2.0.2

(იხ. [1] თეორემა 11.7.2)

თეორემა 2.0.6. ვთქვათ, D გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერის Q ქვენახევარმესერი სიმრავლეთა ოჯახია. მაშინ $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას, თუ $Q=V(D,\alpha)$, აქვს შემდეგი სახე:

$$\alpha=\bigcup_{T_{ij}\in Q}\left(Y_{ij}^{\alpha}\times T_{ij}\right),$$

წარმოადგენს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის იდემპოტენტურ ელემენტს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სრულდება შემდეგი პირობები:

$$Y_{00}^{\alpha} \supseteq T_{0k} \cap T_{s0},\ Y_{00}^{\alpha} \cup Y_{01}^{\alpha} \supseteq T_{01},$$
$$Y_{00}^{\alpha} \cup Y_{02}^{\alpha} \supseteq T_{02}, \ldots, Y_{00}^{\alpha} \cup Y_{01}^{\alpha} \cup$$
$$\cup Y_{02}^{\alpha} \cup \ldots \cup Y_{0k}^{\alpha} \supseteq T_{0k},$$
$$Y_{00}^{\alpha} \cup Y_{10}^{\alpha} \supseteq T_{10},\ Y_{00}^{\alpha} \cup Y_{10}^{\alpha} \cup$$
$$\cup Y_{20}^{\alpha} \cup \ldots \cup Y_{s0}^{\alpha} \supseteq T_{s0},\ Y_{ij}^{\alpha} \cap T_{ij} \neq \varnothing$$

ნებისმიერი $T_{ij} \in (Q_1 \cup Q_2) \setminus \{\varnothing\}$. (იხ. [1] თეორემა 13.7.2)

თეორემა 2.0.7. $B_X(D)$ ნახევარჯგუფის რეგულარული α ელემენტი წარმოადგენს იდემპოტენტს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა φ ასახვა, რომელიც აკმაყოფილებს პირობას: $\varphi = \alpha$ ნებისმიერი $\in$ α, არის α ნახევარმესერის იგივური ასახვა. (იხ. [1] თეორემა 6.3.7.)

თეორემა 2.0.8. ვთქვათ D, $\Sigma(D)$, $E_X^{(r)}(D')$ და I შესაბამისად წარმოადგენენ გაერთიანებათა სრულ $X-$ნახევარმესერს, D ნახევარმესერის ყველა $XI-$ ქვენახევარმესერთა სიმრავლეს, $B_X(D')$ $(D' \in \Sigma(D))$ ნახევარჯგუფის მარჯვენა ერთეულების სიმრავლეს და $B_X(D')$ ნახევარჯგუფის იდემპოტენტების სიმრავლეს. მაშინ $E_X^{(r)}(D')$ და I სიმრავლეებისთვის სამართლიანია შემდეგი დებულებები:

a) თუ $\varnothing \in D$ და $\Sigma_{\varnothing}(D) = \{D' \in \Sigma(D) \mid \varnothing \in D'\}$, მაშინ

1) $E_X^{(r)}(D') \cap E_X^{(r)}(D'') = \varnothing$ ნებისმიერი D' და D'' აღებული $\Sigma_{\varnothing}(D)$ სიმრავლიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას: $D' \neq D''$;

2) $I = \bigcup_{D' \in \Sigma_{\varnothing}(D)} E_X^{(r)}(D')$

3) სასრულო X სიმრავლისთვის სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$|I| = \sum_{D' \in \Sigma_{\varnothing}(D)} \left| E_X^{(r)}(D') \right|$$

b) თუ $\varnothing \notin D$, მაშინ

1) $E_X^{(r)}(D') \cap E_X^{(r)}(D'') = \varnothing$ ნებისმიერი D' და D'' აღებული $\Sigma(D)$ სიმრავლიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას: $D' \neq D''$;

2) $I = \bigcup_{D' \in \Sigma(D)} E_X^{(r)}(D')$;

3) სასრულო X სიმრავლისთვის სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$|I| = \sum_{D' \in \Sigma(D)} \left| E_X^{(r)}(D') \right|.$$

(იხ. [1] თეორემა 6.2.3.)

თეორემა 2.0.9. ვთქვათ, არის $B_X(D')$ ნახევარჯგუფის ყველა იდემპოტენტურ ელემენტთა სიმრავლე. მაშინ სამართლიანია შემდეგი დებულებები:

a) $' \cap \; '' = \varnothing$, ნებისმიერი $' \; '' \in \Sigma$ და $' \neq \; ''$;

b) $= \bigcup_{' \in \Sigma} \; ^{*} \; '$;

c) თუ – სასრულო სიმრავლეა, მაშინ $|\;| = \sum_{' \in \Sigma} \left| ^{*} \; ' \right|$. (იხ. [1] თეორემა 6.3.13.)

თეორემა 2.0.10 $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ნებისმიერი იდემპოტენტური ბინარული ε მიმართებისთვის $G_X(D,\varepsilon)$ ჯგუფი ანტიიზომორფულია $V(D,\varepsilon)$ ნახევარმესერის ყველა სრულ ავტომორფიზმთა ჯგუფისა. (იხ. [1] თეორემა 7.4.2.)



ნახ. 2.0.3

თეორემა 2.0.11. ვთქვათ, $Q = \{T_1, T_2, T_3, ..., T_m\}$ $(m \geq 3)$ (იხ. ნახ. 2.0.3) არის გაერთიანებათა ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომ

$$T_1, T_2 \not\in \{\varnothing\}, \; T_1 \cup T_2 = T_3$$

და $T_3 \subset T_4 \subset ... \subset T_m$,მაშინ წარმოადგენს გაერთიანებათა – ნახევარმესერს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $T_1 \cap T_2 = \varnothing$.

(იხ. [1] თეორემა **11.6.2**.)



ნახ. 2.0.4

თეორემა 2.0.12 ვთქვათ, $Q = \{T_1, T_2, T_3, ..., T_m\}$ $(m \geq 5)$ (იხ. ნახ. 2.0.4) არის გაერთიანებათა ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომ

$$T_1 \subset T_3 \subset T_5 \subset ... \subset T_m, \; T_2 \subset T_3 \subset T_5 \subset ... \subset T_m,$$
$$T_2 \subset T_4 \subset T_5 \subset ... \subset T_m, \; T_1 \setminus T_2 \neq \varnothing, \; T_2 \setminus T_1 \neq \varnothing,$$
$$T_3 \setminus T_4 \neq \varnothing, \; T_4 \setminus T_3 \neq \varnothing, \; T_1 \cup T_2 = T_3, \; T_3 \cup T_4 = T_5$$

მაშინ წარმოადგენს გაერთიანებათა $XI-$ ნახევარმესერს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $T_1 \cap T_4 = \varnothing$. (იხ. [1] თეორემა **11.6.4**.)

შედეგი 2.0.1. ვთქვათ, $Q=\{T_0,T_1,...,T_m\}$ $(m\geq 1)$ არის გაერთიანებათა ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომ $T_0\subset T_1\subset ...\subset T_m$. მაშინ $B_X(D)$ ნახევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს შემდეგი სახე: $\alpha=\bigcup_{i=0}^{m}\left(Y_i^{\alpha}\times T_i\right)$, სადაც $Q=V(D,\alpha)$, წარმოადგენს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის იდემპოტენტურ ელემენტს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $Y_0^{\alpha}\cup Y_1^{\alpha}\cup ...\cup Y_p^{\alpha}\supseteq T_p$ და $Y_q^{\alpha}\cap T_q\neq\varnothing$ ნებისმიერი $p=0,1,...,m-1$ და $q=1,2,...,m$.(იხ. [1] შედეგი 13.1.1)

შედეგი 2.0.2 ვთქვათ, $Q=\left\{T_0,T_1,...,T_j,...,T_m\right\}$ $(m\geq 3)$ არის ისეთი ნახევარმესერი და j - ისეთი ფიქსირებული ნატურალური რიცხვი, რომ $0\leq j\leq m-3$ და

$$
\begin{aligned}
&T_0\subset T_1\subset ...\subset T_j\subset T_{j+1}\subset T_{j+3}\subset ...\subset T_m,\\
&T_0\subset T_1\subset ...\subset T_j\subset T_{j+2}\subset T_{j+3}\subset ...\subset T_m,\\
&T_{j+1}\setminus T_{j+2}\neq\varnothing, T_{j+2}\setminus T_{j+1}\neq\varnothing, T_{j+1}\cup T_{j+2}=T_{j+3}.
\end{aligned}
$$

მაშინ $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს შემდეგი სახე: $\alpha=\bigcup_{i=0}^{m}\left(Y_i^{\alpha}\times T_i\right)$, სადაც $=(\quad\alpha)$, წარმოადგენს $B_X(D)$ ნახევარჯგუფის იდემპოტენტურ ელემენტს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$
\begin{aligned}
&Y_0^{\alpha}\cup Y_1^{\alpha}\cup ...\cup Y_j^{\alpha}\supseteq T_{j+1}\cap T_{j+2},\\
&Y_0^{\alpha}\cup Y_1^{\alpha}\cup ...\cup Y_j^{\alpha}\cup Y_{j+2}^{\alpha}\supseteq T_{j+2},\\
&Y_0^{\alpha}\cup Y_1^{\alpha}\cup ...\cup Y_p^{\alpha}\supseteq T_p,\ Y_q^{\alpha}\cap T_q\neq\varnothing
\end{aligned}
$$

ნებისმიერი $p=0,1,2,...,m-1$, $q=1,2,...,m$ $(p\neq j+2,\ q\neq j+3)$.

(იხ. [1] შედეგი 13.3.1)

შედეგი 2.0.3. ვთქვათ, $Q=\{T_0,T_1,...,T_m\}$ $(m\geq 1)$ არის ისეთი ნახევარმესერი, რომ $T_0\subset T_1\subset ...\subset T_m$. თუ $^{(\ )}(\ )$ არის $(\ )$ ნახევარჯგუფის მარჯვენა ერთეულების სიმრავლე, მაშინ

$$\left|E_X^{(r)}(Q)\right|=\left(2^{|T_1\setminus T_0|}-1\right)\cdot\left(3^{|T_2\setminus T_1|}-2^{|T_2\setminus T_1|}\right)\cdots\left((m+1)^{|T_m\setminus T_{m-1}|}-m^{|T_m\setminus T_{m-1}|}\right)\cdot(m+1)^{|X\setminus T_m|}.$$

(იხ. [1] შედეგი 13.1.5)

შედეგი 2.0.4. ვთქვათ, $Q=\{T_0,T_1,T_2,T_3\}$ არის (იხ. ნახ. 2.0.5) ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომ



ნახ.2.0.5

$$T_0\subset T_1\subset T_3,\ T_0\subset T_2\subset T_3,$$
$$T_1\setminus T_2\neq\varnothing,\ T_2\setminus T_1\neq\varnothing,\ T_1\cup T_2=T_3.$$

თუ $Q=\{T_0,T_1,T_2,T_3\}$ და $D'=\{\overline{T}_0,\overline{T}_1,\overline{T}_2,\overline{T}_3\}$ $XI-$ნახევარმესერები არიან $\alpha-$იზომორფული და $|\Omega(Q)|=m_0$, მაშინ სამართლიანია შემდეგი ტოლობა:



ნახ. 2.0.6

$$|R(D')|=2\cdot m_0\cdot\left(2^{|\overline{T}_1\setminus\overline{T}_2|}-1\right)\cdot\left(2^{|\overline{T}_2\setminus\overline{T}_1|}-1\right)\cdot 4^{|X\setminus\overline{T}_3|}.$$

(იხ. [1] შედეგი 13.3.1)

შედეგი 2.1.5. ვთქვათ, $T_0,T_1,T_2,T_3,T_4\in D$ (იხ. ნახ. 2.0.6) და



ნახ. 2.0.7

$$T_0\subset T_1\subset T_3\subset T_4,\ T_0\subset T_2\subset T_3\subset T_4,$$
$$T_1\setminus T_2\neq\varnothing,\ T_2\setminus T_1\neq\varnothing,\ T_1\cup T_2=T_3.$$

თუ $Q=\{T_0,T_1,T_2,T_3,T_4\}$ და $D'=\{\overline{T}_0,\overline{T}_1,\overline{T}_2,\overline{T}_3,\overline{T}_4\}$ $XI-$ნახევარმესერები არიან $\alpha-$იზომორფული და $|\Omega(Q)|=m_0$, მაშინ სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$|R(D')|=2\cdot m_0\cdot\left(2^{|\overline{T}_1\setminus\overline{T}_2|}-1\right)\cdot\left(2^{|\overline{T}_2\setminus\overline{T}_1|}-1\right)\cdot\left(5^{|\overline{T}_4\setminus\overline{T}_3|}-4^{|\overline{T}_4\setminus\overline{T}_3|}\right)\cdot 5^{|X\setminus\overline{T}_4|}.$$

(იხ. [1] შედეგი 13.3.5)

შედეგი 2.0.6. ვთქვათ, $T_0,T_1,T_2,T_3,T_4\in D$ (იხ. ნახ. 2.0.7) და

$$T_0\subset T_1\subset T_2\subset T_4,\ T_0\subset T_1\subset T_3\subset T_4,$$
$$T_2\setminus T_3\neq\varnothing,\ T_3\setminus T_2\neq\varnothing,\ T_2\cup T_3=T_4.$$



ნახ. 2.0.8

თუ $Q=\{T_0,T_1,T_2,T_3,T_4\}$ და $D'=\{\overline{T}_0,\overline{T}_1,\overline{T}_2,\overline{T}_3,\overline{T}_4\}$ $XI-$ნახევარმესერები არიან $\alpha-$იზომორფული და $|\Omega(Q)|=m_0$, მაშინ სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$|R(D')|=2\cdot m_0\cdot\left(2^{|T_1\setminus T_0|}-1\right)\cdot 2^{|(\overline{T}_2\cap\overline{T}_3)\setminus\overline{T}_1|}\cdot$$
$$\cdot\left(3^{|\overline{T}_2\setminus\overline{T}_3|}-2^{|\overline{T}_2\setminus\overline{T}_3|}\right)\cdot\left(3^{|\overline{T}_3\setminus\overline{T}_2|}-2^{|\overline{T}_3\setminus\overline{T}_2|}\right)\cdot 5^{|X\setminus\overline{T}_4|}.$$

(იხ. [1] შედეგი 13.3.6)

შედეგი 2.0.7. ვთქვათ, D ნახევარმესერის $Q=\{T_{00},T_{01},T_{10},T_{11},T_{20},T_{21}\}$ (იხ. ნახ. 2.0.8)

ქვენახევარმესერი არის სიმრავლეთა ოჯახი. თუ Q ოჯახი და

$$D'=\left\{\overline{T}_{00},\overline{T}_{01},\overline{T}_{10},\overline{T}_{11},\overline{T}_{20},\overline{T}_{21}\right\}$$

ნახევარმესერი არიან α — იზომორფულები და $\left|\Omega\left(Q\right)\right|=m_0$, მაშინ

სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$\left|R\left(D'\right)\right|=m_0\cdot\left(2^{\left|\overline{T}_{01}\setminus\overline{T}_{20}\right|}-1\right)\cdot\left(2^{\left|\overline{T}_{10}\setminus\overline{T}_{01}\right|}-1\right)\cdot\left(3^{\left|\overline{T}_{20}\setminus\overline{T}_{11}\right|}-2^{\left|\overline{T}_{20}\setminus\overline{T}_{11}\right|}\right)\cdot 6^{\left|X\setminus\overline{T}_{21}\right|}$$

(იხ. [1] შედეგი 13.7.3)

2.1 $\Sigma_4(X,8)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების ძირითადი თვისებები

მოცემულ პარაგრაფში ჩამოყალიბებულია $\Sigma_4(X,8)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების ძირითადი თვისებები და $|X|=n\geq 5$ შემთხვევაში გამოყვანილია $\Sigma_4(X,8)$ კლასში ნახევარმესერთა რაოდენობის დასათვლელი ფორმულა.

ვთქვათ, X არაცარიელი სიმრავლეა, D არის გაერთიანებათა სრული $X-$ ნახევარმესერი, ე.ი. არის X სიმრავლის არაცარიელ ქვესიმრავლეთა ისეთი სიმრავლე, რომელიც ჩაკეტილია D-ს ელემენტების თეორიულ-სიმრავლური გაერთიანების ოპერაციების მიმართ, f არის ასახვა X სიმრავლისა D-ში. მაშინ ყოველი ასეთი f ასახვისათვის X სიმრავლეზე განისაზღვრება α_f ბინარული მიმართება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას

$$\alpha_f=\bigcup_{x\in X}\left(\{x\}\times f(x)\right).$$

ყველა ასეთ α_f ბინარულ მიმართებათა სიმრავლე ($f:X\rightarrow D$) აღინიშნება $B_X(D)$ სიმბოლოთი. ადვილად მტკიცდება, რომ $B_X(D)$ წარმოადგენს ნახევარჯგუფს ბინარულ მიმართებათა გამრავლების ოპერაციის მიმართ, რომელსაც

ეწოდება D გაერთიანებითა სრული $X-$ ნახევარმესერით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფი. (იხ. [1, პუნქტი 2.1]

$\varnothing$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ X სიმრავლის ცარიელი ქვესიმრავლე. თუ $(x,y)\in\alpha$, მაშინ ეს ჩაიწერება შემდეგნაირად: $x\alpha y$. ახლა ვთქვათ

$$x,y\in X\ ,\ Y\subseteq X\ ,\ \alpha\in B_X(D)\ ,$$

$$T\in D\ ,\ \varnothing\neq D'\subseteq D,$$

$$\breve{D}=\cup D\ ,\ t\in\breve{D}\ .$$

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

$$\begin{aligned}
&y\alpha=\left\{x\in X\mid y\alpha x\right\},\\
&Y\alpha=\bigcup_{y\in Y}y\alpha,\ 2^X=\left\{Y\mid Y\subseteq X\right\},\\
&X^*=2^X\setminus\left\{\varnothing\right\},V\left(D,\alpha\right)=\left\{Y\alpha\mid Y\in D\right\},\\
&D'_T=\left\{T'\in D'\mid T\subseteq T'\right\},\\
&\ddot{D}'_T=\left\{T'\in D'\mid T'\subseteq T\right\},\\
&D'_t=\left\{Z'\in D'\mid t\in Z'\right\},\\
&l\left(D',T\right)=\cup\left(D'\setminus D'_T\right).
\end{aligned}$$

$\Lambda(D,D')$ სიმბოლოთი აღინიშნება D ნახევარმესერში D' სიმრავლის ზუსტი ქვედა საზღვარი.

განმარტება 2.1.1. *ვთქვათ,* $\alpha\in B_X(D)$ *. თუ* $\alpha\circ\alpha=\alpha$ *ნებისმიერი* $\alpha\in B_X(D)$ *, მაშინ ბინარულ მიმართებას შესაბამისად ეწოდება* $B_X(D)$ *ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი.*

ვთქვათ X და $\Sigma_4(X,8)$ შესაბამისად ნებისმიერ არაცარიელ სიმრავლეს და გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერთა იმ კლასს წარმოადგენს, რომლის ყოველი ელემენტი $D=\left\{Z_7,Z_6,Z_5,Z_4,Z_3,Z_2,Z_1,\breve{D}\right\}$ გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესრის იზომორფულია, სადაც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:



ნახ.2.1.1

$$\begin{gathered}
Z_7 \subset Z_4 \subset Z_1 \subset \breve{D},\\
Z_7 \subset Z_6 \subset Z_1 \subset \breve{D},\\
Z_7 \subset Z_6 \subset Z_3 \subset \breve{D},\\
Z_1 \setminus Z_2 \neq \varnothing,\ Z_2 \setminus Z_1 \neq \varnothing,\\
Z_1 \setminus Z_3 \neq \varnothing,\ Z_3 \setminus Z_1 \neq \varnothing,\\
Z_2 \setminus Z_3 \neq \varnothing,\ Z_3 \setminus Z_2 \neq \varnothing,\\
Z_4 \setminus Z_5 \neq \varnothing,\ Z_5 \setminus Z_4 \neq \varnothing,\\
Z_4 \setminus Z_6 \neq \varnothing,\ Z_6 \setminus Z_4 \neq \varnothing,\\
Z_5 \setminus Z_6 \neq \varnothing,\ Z_6 \setminus Z_5 \neq \varnothing,\\
Z_1 \cup Z_2 = Z_1 \cup Z_3 = \breve{D},\\
Z_2 \cup Z_3 = Z_4 \cup Z_2 = Z_4 \cup\\
Z_3 = Z_5 \cup Z_2 = Z_5 \cup Z_3 = \breve{D},\\
Z_4 \cup Z_5 = Z_4 \cup Z_6 = Z_5 \cup Z_6 = Z_1.
\end{gathered}$$

...2.1.1

$X-$ ნახევარმესერი, რომელიც აკმაყოფილებს 2.1.1 პირობებს, მოცემულია ნახ. 2.1.1-ზე.

დავუშვათ, რომ $C(D)=\{P_0,P_1,P_2,P_3,P_4,P_5,P_6,P_7\}$, სადაც $P_0,P_1,P_2,P_3,P_4,P_5,P_6$ და P_7 არიან X სიმრავლის წყვილ-წყვილად თანაუკვეთი ქვესიმრავლეები და

$$\varphi=\begin{pmatrix} Z_7 & Z_6 & Z_5 & Z_4 & Z_3 & Z_2 & Z_1 & \breve{D}\\ P_7 & P_6 & P_5 & P_4 & P_3 & P_2 & P_1 & P_0 \end{pmatrix}$$

ასახვაა D გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერისა $C(D)$ სიმრავლეთა ოჯახზე. მაშინ მოცემულ D ნახევარმესერის ფორმალურ ტოლობებს ექნებათ შემდეგი სახე:

$$\begin{aligned}
\breve{D} &= P_0 \cup P_1 \cup P_2 \cup P_3 \cup P_4 \cup P_5 \cup P_6 \cup P_7,\\
Z_1 &= P_0 \cup P_2 \cup P_3 \cup P_4 \cup P_5 \cup P_6 \cup P_7,\\
Z_2 &= P_0 \cup P_1 \cup P_3 \cup P_4 \cup P_5 \cup P_6 \cup P_7,\\
Z_3 &= P_0 \cup P_1 \cup P_2 \cup P_4 \cup P_5 \cup P_6 \cup P_7,\\
Z_4 &= P_0 \cup P_2 \cup P_3 \cup P_5 \cup P_6 \cup P_7,\\
Z_5 &= P_0 \cup P_2 \cup P_3 \cup P_4 \cup P_6 \cup P_7,\\
Z_6 &= P_0 \cup P_2 \cup P_4 \cup P_5 \cup P_7,\\
Z_7 &= P_0 \cup P_2 \cup P_5.
\end{aligned}$$

სადაც $P_1,P_2,P_3,P_4,P_5 \notin \{\varnothing\}$ და $|P_0|\geq 0,\ |P_6|\geq 0$ და $|P_7|\geq 0$ ე.ი. P_1,P_2,P_3,P_4,P_5 ელემენტები ბაზისურ წყაროებს წარმოადგენენ, ხოლო P_0, P_6 და P_7 ელემენტი კი სისავსის წყაროებია. ამიტომაც ბაზისურ წყაროთა რიცხვი $\delta=$, ხოლო $|X|\geq 5$.

ლემა 2.1.1 ვთქვათ, $D\in\Sigma_4(X,8)$ და სასრული სიმრავლეა. თუ $|X|=n\geq 5$ და $\left|\Sigma_4(X,8)\right|=s$, მაშინ D ნახევარმესერის ყველა ავტომორფიზმთა რაოდენობა $q=1$ და

$$s=9^n-5\cdot 8^n+10\cdot 7^n-10\cdot 6^n+5\cdot 5^n-4^n$$

დამტკიცება: მოცემული კლასის ნახევარმესერების განმარტებიდან გვაქვს, რომ $=$, ბაზისურ წყაროთა რიცხვი $\delta=5$, ხოლო ნახევარმესერის ავტომორფიზმთა რიცხვი $q=1$. თუ პირობებს $=$, $\delta=5$ და $q=1$ გავითვალისწინებთ თეორემა $1.1.1-$ში მივიღებთ:

$$s=\sum_{p=5}^{8}\left(\sum_{i=1}^{p+1}\left(\frac{(-1)^{p+i+1}\cdot C_{8-5}^{p-5}\cdot C_{p}^{5}\cdot(5!)\cdot((p-5)!)\cdot i^{n}}{(i-1)!\cdot(p-i+1)!}\right)\right).$$

Bბოლო ფორმულის გამარტივება მოგვცემს:

$$s=9^{n}-5\cdot 8^{n}+10\cdot 7^{n}-10\cdot 6^{n}+5\cdot 5^{n}-4^{n}.$$

ლემა დამტკიცებულია.

მაგალითი 2.1.1: ვთქვათ $n=5,6,7,8,9,10.$ მაშინ შესაბამისად მივიღებთ:

$s=120;\ 4\ 680;\ 107\ 520;\ 1\ 900\ 080;\ 28\ 594\ 440;\ 385\ 945\ 560;$

$\left|B_X(D)\right|=32\ 768;\ 262\ 144;\ 2\ 097\ 152;\ 16\ 777\ 216;\ 134\ 217\ 728.$

მიღებული რიცხვები გვიჩვენებს, რომ როცა $|X|=10$, მაშინ $\Sigma_4(X,8)$ კლასში ნახევარმესერთა რაოდენობა $385\ 945\ 560$-ის ტოლია, ხოლო ამ კლასის ნახევარმესერით განსაზღვრულ თითოეულ ნახევარჯგუფში ელემენტების რიცხვი ტოლია $134\ 217\ 728$-ის.

ლემა 2.1.2 ვთქვათ, $D=\left\{Z_7,Z_6,Z_5,Z_4,Z_3,Z_2,Z_1,\breve{D}\right\}$ არის $\Sigma_4(X,8)$ კლასის ნებისმიერი ელემენტი. მაშინ ნახევარმესერით განსაზღვრულ $B_X(D)$ ნახევარჯგუფს მარჯვენა ერთეული არ გააჩნია.

დამტკიცება: თუ $D\in\Sigma_4(X,8)$, მაშინ $B_X(D)$ ნახევარჯგუფს მაშინ და მხოლოდ მაშინ გააჩნია მარჯვენა ერთეული, როცა სრულდება შემდეგი ორი პირობა (იხ. განმარტება 2.0.1 და თეორემა 2.0.2):

) $\wedge(D,D_t)\in D$ ნებისმიერი $t\in\breve{D}-$თვის, სადაც $D_t=\left\{Z\in\breve{D}\mid t\in Z\right\}$;

) D ნახევარმესერის ნებისმიერი არაცარიელი Z ელემენტისათვის სრულდება ტოლობა $Z=\bigcup_{t\in Z}\wedge\left(D,D_t\right)$.

მოცემული პირობების შესამოწმებლად ყოველი ელემენტისათვის, აღებული $\breve{}$ სიმრავლიდან, ვიპოვოთ $\wedge(D,D_t)$ ელემენტები. ნახევარმესერის ფორმალური ტოლობების გამოყენებით მივიღებთ, რომ D_t სიმრავლეები D ნახევარმესერში შემდეგი სახით წარმოიდგინება:

$$D_t=\begin{cases} D,\ t\in P_{0,} \\ \left\{Z_3,Z_2,\breve{D}\right\},\ t\in P_1, \\ \left\{Z_7,Z_6,Z_5,Z_4,Z_3,Z_1,\breve{D}\right\},\ t\in P_2, \\ \left\{Z_5,Z_4,Z_2,Z_1,\breve{D}\right\},\ t\in P_3, \\ \left\{Z_6,Z_5,Z_3,Z_2,Z_1,\breve{D}\right\},\ t\in P_4, \\ \left\{Z_7,Z_6,Z_4,Z_3,Z_2,Z_1,\breve{D}\right\},\ t\in P_5, \\ \left\{Z_5,Z_4,Z_3,Z_2,Z_1,\breve{D}\right\},\ t\in P_6, \\ \left\{Z_6,Z_5,Z_4,Z_3,Z_2,Z_1,\breve{D}\right\},\ t\in P_7. \end{cases}$$

ასეთ შემთხვევაში $\wedge(D,D_t)\notin D$ ნებისმიერი $t\in\breve{D}-$სათვის. გამომდინარე აქედან პირობა $\wedge(D,D_t)\in D$ არაა სამართლიანი არცერთი ელემენტისათვის აღებული $\breve{D}-$სიმრავლიდან, ე.ი. $\Sigma_4(X,8)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრულ ბინარულ მიმართებათა სრულ $B_X(D)$ ნახევარჯგუფებს მარჯვენა ერთეული არ გააჩნიათ.

ლემა დამტკიცებულია.

2.2. $\Sigma_4(X,8)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების იდემპოტენტური ელემენტების აღწერა.

ვთქვათ, $D=\left\{Z_7,Z_6,Z_5,Z_{4,}Z_3,Z_{2,}Z_1,\breve{D}\right\}\in\Sigma_4\left(X,8\right)$.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ $\Sigma_4(X,8)$ კლასის D გაერთიანებათა $X-$ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფები.

შევნიშნოთ, რომ $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ნებისმიერი ელემენტის კვაზი-ნორმალურ წარმოდგენას აქვს სახე:

